პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მთავრობის დღიურ-პატიანი ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 1918-ე წელი

პარასკევი, 19 ოქტომბერი, 1951 წ. № 247 (9101). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს — მოწინავე (1-ლი გვერდი).

როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს (1-ლი გვერდი).

უფროტი ხალხური შემოქმედების საუნჯე (1-ლი გვერდი).

პარტიული ცხოვრება — კომუნისტები იბრძვიან ციალური გრაფიკის დასანერგავად (მე-2 გვერდი).

საგზაოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი (მე-2 გვერდი).

ახალ მეშენებლებზე — პირველი დღეები (მე-3 გვერდი).

ახორციელებენ რაციონალიზატორულ ღონისძიებებს (მე-3 გვერდი).

გორგი შატბერაშვილი — ერთი ანდაზის სიკვდილი (მე-3 და მე-4 გვერდი).

ჯავაში ცოდა [illegible] (მე-3 გვერდი).

რუფაქის გაგოზაკათრეპისათვის (მე-3 გვერდი).

კორეის ამბები (მე-4 გვერდი).

უფიშრომების საბჭოში (მე-4 გვერდი).

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კონფერენციის (მე-4 გვერდი).

ერთიანი და მფლობელობისათვის ზეერმანიისათვის (მე-4 გვერდი).

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ზამთარს

ზამთარი მრეწველობისა და ტრანსპორტის გამართული მუშაობისათვის ბევრ რიგ სიძნელეებს ქმნის. იმისათვის, რომ წარმატებით დაეძლიოთ ეს სიძნელენი, აუცილებელია წინასწარ კარგად მოვემზადოთ ზამთრისა შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ზმზადება ზამთრისათვის ჩვენი რესპუბლიკის საწარმოებში და ტრანსპორტზე კარგა ხანია დაიწყო. ამ მიმართულებით როგორც მრეწველობაში, ისე ტრანსპორტზე თვალსაჩინო მუშაობაა გაწეული. მაგალითად, თბილისის კირიკის სახელობის დაზგათა-შენებელ ქარხანაში ზამთრისათვის საწარმოს მოსამზადებლად გათვალისწინებული ყველა ის სამუშაო, რაც ქარხნის დროებერეცია არის დამოკიდებული, თითქმის მოლიანად დამთავრებულია. ამ დროულად შეაკეთეს საწარმოო კორპუსების სახურავები, კარ-ფანჯრები, შუშათა საცხოვრებელი სახლები, ქარხანასთან არსებული საბავშვო დაწესებულებათა შენობები, საკამო რაოდენობით მოიმარაგეს სათბობი. მთელი რიგი ღონისძიებანი განახორციელეს ზამთრისათვის სანიმუშოდ მოსამაზადებლად თამბაქოს პირველ ფაბრიკაში, სადაც ყველა სამუშაოს უახლოეს დღეებში დაამთავრებენ. ამ მიმართულებით თვალსაჩინო მუშაობა წარმოებს ქუთაისსა და ბათუმის საწარმოებში, ტყვარჩელსა და ტყიბულში, რკინიგზის ტრანსპორტის ნავთლეღის, ხაშურის და სამტრედიის კვანძებზე, რუსეთლეკის მრავალ სხვა საწარმოში.

ერთგვარი წარმატების მიიჯდოვდად, თითქმის ყველა საწარმოში და ტრანსპორტის ყველა უბანზე ზამთრისათვის მოსამზადებლად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრი რამაა.

მაგალითად, კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ამიერკავკასიის მეტალურგშენის ტრესტს მინდობილი აქვს სამეაბე დანადგარის მოწყობა. ტრესტმა თუმცა დიაწყო ამ სამუშაოს შესრულება, მაგრამ ბუშაოს ბასი ისეთი ნელი ტემპით აწარმოებს, რომ საეჭვოა მან შეძლოს ზამთრის დაწყებამდე მისი დამთავრება.

ჯიოფორის მარგანეცის ტრესტის მმართველობამ ჯერ კიდევ ათ იგლისს დაიგეგმა მაღაროთა სამმართველოებს ზამთრისათვის საფუძველიანი მომზადება. მას შემდეგ სამ თვეზე მეტი გავიდა, და ჯერჯერობით არსებითად ბევრი არაფერი გაკეთებულა. ზამთრისათვის მოუმზადებელია მარგანეცის გამაუზეგებელი ფაბრიკები, შეუკეთებელია ესტაკადები, მაღაროებთან მიზიდული არ არის საბარი მასალის მარაგი.

ზამთრისათვის სანიმუშო მომზადებას გადამჭრელი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის მრეწველობის მიერ საწარმო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. მოუხედავად ამისა, ტყიბულის შახტებში და რკინიგზის ქუთაის-ტყიბულის ხაზზე ზამთრისათვის ძლიერ ნელი ტემპით ეგზაფდებიან. შახტებთან მოსაზიდი ლოდაკილი სამაგრი მასალა, გასასუფთავებელია ბუნკერებთან მისასვლელი რკინიგზის ლიანდაგი, შესაკეთებელია რკინიგზის ორპირის სადგური, შესასრულებელია მრავალი სხვა სამუშაო. ზამთრისათვის ტყიბულის შახტების მომზადებას ვადაშეკვეტი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ტყიბულელ მეშახტეებს მოუხდებათ მეოთხე კვარტალი მუშაობის ისე წარმართვა, რომ მათ შეძლონ არა მარტო კვარტალური დავალების განადგება, არამედ მესამე კვარტალის დანაკლისის შეესებაც.

საქართველოს ჰიდროეკონომიშენის ტრესტის სარემონტო-მექანიკური ქარხნის მექანიკერ, სანეფელო-სამეწყობო და სხვა საამქროებში წვიმის დროს სახურავიდან წყალი ჩამოდის. ქარხნის დირექციას დღემდე პრაქტიკული ნაბიჯი არ გადაუდგამს საწარმოს მოსამზადებლად ზამთრისათვის.

საკირო ზამთრისათვის მოვამზადოთ არა მარტო საწარმეო საწარმოები და ტრანსპორტი, არამედ მუშათა საცხოვრებელი ბინები და საყოფაცხოვრებო ნაგებობანი. საწარმოების განაკარგულებაში არსებული საცხოვრებელი ბინების, აგრეთვე კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების, საწარმოებთან არსებული საბავშვო ბაგებისა და ბაღების შენობების, წყლიანი კუთხეებისა და კლუბების დროულად მოკეთებას დიდი მნიშვნელობა აქვს მუშათა მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის. ამთავითვე უნდა ვიზრუნოთ საცხოვრებელი ბინებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობათა გათბობისათვის, მუშა-მოსამსახურეთა სათბობით მომარაგებისათვის.

ზამთრის პირობებში მხოლოდ იმ საწარმოს მუშაობაა მაღალნაყოფიერი, სადაც მეტი სინათლე, დაცული სიცივეთაგან, წესრიგზეა საველტლაციო დანადგარი და სათბობი მეტრინოა, საკმაო რაოდენობით არის მომარაგებული ნედლეულით და მასალები.

სერიოზული ამოცანებია დასახული რკინიგზის ტრანსპორტს წინაშეც. რკინიგზელები არა მარტო ტვირთზიდვის გეგმებს უნდა ასრულებდნენ, არამედ ლოკომიდეი ავტომატებსებრნენ მეზაერთა მომსახურებასაც. ამ მხრივ ძალიან ბევრია გასაკეთებელი ამიერკავკასიის რკინიგზაზე. საბაზარო ვაგონების დროულად მოამზადება და მათი სრულ წესრიგზე მოყვანა, ეფექტიანის გათბობის უზრუნველყოფა, თვითრეულისა და ქვეშაგების საკმაო რაოდენობით მომარაგება, ეფექტიანისა და ბაგნების შეკეთება, განათვრის მოწესრიგება დიდი და ფრიად პასუხსაგები საქმეშოებია. ამ საქმეშათა შესრულებისათვის უნდა დარაზმის ძალები ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ და პირველ რიგში მისმა საბაზარო განყოფილებამ. დროა ლოგიოტეზრის ის უწესრიგობანი, რასაც მეზაერთა მომსახურების მიმართ ჯერ კიდევ ეხვდებიან რკინიგზის ტრანსპორტზე.

კიდევ რამდენიმე კვირა, და ზამთარი ძალაში შევა. საჭიროა მაქსიმალური ნაყოფიერებით გამოვიყენოთ თვითეული დღე, გეგმიანად და ოპერატიულად მოვამზადოთ ზამთრისათვის საწარმოები, ტრანსპორტი, საცხოვრებელი ბინები და საყოფაცხოვრებო-კულტურული ნაგებობანი. შეეკმნათ ყველა პირობა ზამთარში შეუფერხებელი, რიტმული, მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის, საამენური წლის წარმატებით დამთავრებისათვის, მომავალ წელს ჩვენი საამქროების წინაშე ლენინ-სტალინის პარტიის, დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანების სასახელოდ შესრულების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს შამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეგზებით სახელმწიფოს ჩაბარონ 1.150 ცენტნერი ყურძენი

საქართველოს შამპანკომბინატის საბჭოთა მეურნეობებმა 15 ოქტომბრისათვის 103,9 პროცენტით შეასრულეს ყურძნის ჩაბარების წლიური გეგმა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი წერილით საქართველოს შამპანკომბინატის დირექტორი ამხ. ᲫᲚᲘᲜᲘ ატყობინებენ, რომ კომბინატის საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარონ 1.150 ცენტნერი ყურძენი.

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩაბარეს 8.236 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით გათვალისწინებული 7.800 ცენტნერისა.

სამგრესების მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ყურძნის ჩაბარების გეგმა

სამტრესების მუკუზნის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობამ 12 ოქტომბრისათვის 107,3 პროცენტით შეასრულა ყურძნის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა.

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს მაგყლის დამზადების წლიური გეგმა

ქარელის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 15 ოქტომბრისათვის 102,1 პროცენტით შეასრულეს მატყლის დამზადების გეგმა.

მატყლის დამზადება გრძელდება.

როგორ ასრულებენ მეჩაიეები ნაკისრ ვალდებულებებს

აბაშელეში მეჩაიეებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 1.364,8 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება კი 2.650 ტონის მოკრეფას თვალსაწინაზე.

აუხვალეთის მშრომელებს ვალდებულება აქვთ ნაკისრი წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 2.000 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულების ანგარიშში 15 ოქტომბრისათვის მოკრეფილია 1.196,1 ტონა ჩაი.

მაბასარაძის რაიონში გეგმის გადამეტებით მოკრეფილია 1.448,2 ტონა ჩაის ფოთოლი. ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 2.200 ტონა.

ზუგდიდის რაიონის მშრომელებმა ვალდებულების ანგარიშში მოკრიფეს 650,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულება 1.000 ტონის მოკრეფას თვალსაწინაზე.

ლანჩხუთის რაიონის ჩაის მეჩაიეებს ნაკისრი ჰქონდათ ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებინათ 800 ტონა ჩაის ფოთოლი. მეჩაიეებმა უკვე მოკრიფეს 802 ტონა ჩაი.

ჩხაროლოუნს რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 600 ტონა ფოთოლი. მოკრეფილია 435 ტონა ჩაი.

ᲒᲣᲓᲐᲣᲢᲘᲠᲘ რაიონის ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებინა 600 ტონა ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეებმა ვალდებულება გაანადგეს და მოკრიფეს 601 ტონა ჩაი.

ᲕᲐᲚᲔᲜᲯᲘᲩᲘᲡ რაიონის გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვს 176,7 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 600 ტონა.

ᲩᲮᲐᲒᲐᲕᲐᲠᲘᲡ რაიონის ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება წლიური გეგმის გადამეტებით სახელმწიფოსათვის ჩაბარებინა 500 ტონა ჩაის ფოთოლი. კოლმეურნეებმა უკვე მოკრიფეს 511,9 ტონა ჩაი.

ᲪᲮᲐᲯᲐᲠᲘᲡ რაიონმა გეგმის გადამეტებით მოკრიფა 217,6 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებით უნდა მოკრიფოს 300 ტონა.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ რაიონში ვალდებულების ანგარიშში მოკრეფილია 191 ტონა ჩაის ფოთოლი, ვალდებულებაა 300 ტონის მოკრეფას თვალსაწინაზეს.

ᲤᲝᲬᲣᲠᲘᲫᲘᲡ რაიონში ვალდებულებით უნდა მოკრეფილიყო 250 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფეს 157,4 ტონა.

ᲮᲝᲑᲘᲡ რაიონმა ვალდებულება აიკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 250 ტონა ჩაის ფოთოლი. უკვე მოკრეფილია 209,8 ტონა.

უფროტი ხალხური შემოქმედების საუნჯე

(მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადაზე)

საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის ყოველი კონცერტი აღელვს ხალხის წიაღიდან გამოსულ ახალ-ახალ ტალანტებს. ესენი არიან საქართველოს მზარდი მრეწველობისა და სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, კულტურის ფრონტის მუშაკები, რომელნიც თავდადებულ შრომას შესანიშნავად ათავსებენ მხატვრული თვითმოქმედების წრეებში აქტიურ მონაწილეობასთან.

ოლიმპიადის გეშინდელმა კონცერტმა ერთხელ კიდევ დაადასტურა, თუ რა უზარმაზარ ხალხური შემოქმედებას საუნჯე.

მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირობაა ახალგაზრდა ქალაქი რუსთავი. ბოლშევიკური პარტიის ნებით, მთელი საქართველოს ხალხის ნებით რუსთავი ჭაბდა ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობის ერთ-ერთ მძლავრ ცენტრად. მომავე რუსი და უკრაინელი ხალხების დახმარებით გამოიხარდნენ ახალგაზრდა ქართველი სპეციალისტები, რომლებიც სწრაფად ითვისეს ფოლადის წარმოება. რა საამაყო და სასახარულოა, რომ ეს ახალგაზრდა ქალაქი დიდ-საშობლოს ძალუკვს ქართულ ფოლადს! გუშინ სწორედ ამას უმღერა ქალაქ რუსთავის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რომლის შემადგენლობაში ძირითადად არიან ახალგაზრდა მეტალურგები და რუსთავის მშენებლები (ანსამბლის ხელმძღვანელი ვ. მკერვალიშვილი, ქორეოგრაფი კ. ბანჯგალაძე).

ანსამბლმა კარგად შეასრულა „სიმღერა ქართველ ფოლადზე" (ტექსტი ლ. ლეონიძის, მუსიკა ვ. მკერვალიშვილისა), „შუქმარადი რუსთაველ" (მუსიკა ო. თაქთაქიშვილის, ტექსტი მ. გოგაშვილისა, დამწყები ფ. ცინლაძე) და ცეკვა „ქართული" ს. დარასაკოვი და გ. ჩიკვილაძის შესრულებით. წარმატება ხვდათ ა. ყოვარსკის და ვ. ანტიპოლის, რომლებმაც კარგად წაიკითხეს ვლადიმერ მაიაკოვსკის „ლექსი მშვიდობაზე" და მაქსიმოვის — „დედა".

ხობის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდმა ა. ბერიაიის ხელმძღვანელობით შეასრულა „სიმღერა ბოლადზე" (მუსიკა გრ. კოკლანიის, ტექსტი ს. ფაშალიშვილისა), „სიმღერა სამშობლოზე" (ტექსტი და მუსიკა ა. ბერიასანი) და ხალხური სიმღერა „ოდოიაი" (დამწყები ან. ალანია).

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ინდივიდუალური შემსრულებლების დ. ეფთიფოროვის და ხარაზ ვ. სკრიპოვის (ორივე რუსთავიდანაა) მიერ შესრულებულმა ფ. არაყიშვილის „ოროველაპ" და შოპენის „ვალსმ". მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა ქალაქ რუსთავის ლენინ-სტალინის სახელის თვითმოქმედი წრის მონაწილეებმა — ზეინაკალ ა. ფეფაკაშვილის, ბქელელ ი. გოგიაშვილის და მბერიღაე ფ. მარუაშვილის მიერ შესრულებულმა „მხატვრულმა აკრობატიკამ".

ადიგენის რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდმა (ხელმძღვანელი ვ. მახარაძე) შეასრულა სიმღერები: „სტალინს" (მუსიკა შ. მიღორავისა, ტექსტი ი. გრიშაშვილისა, დამწყებები ბ. თოდაძე, ბ. ფურწუმია) და „ახალი საქართველო". გუნდის სოლისტები ტ. ფალავანდეა და ვ. აბაშიძე კარგად შეასრულეს ცეკვა „ქართული". ვანის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა შესრულა ო. თაქთაქიშვილის — „შვიდფიბის მტკიცე დამცველ" (ტექსტი ხალხური), „ცხენოსნური მაყური" (ხალხური) და „ძლევის სიმღერა" (მუსიკა კ. ფოცხვერაშვილის) ცეკვა „ფერხული".

სოხუმის რაიონის კულტურის თვითმოქმედება კოლექტივმა ვ. ბერიას და მ. ყურაშვილის ხელმძღვანელობით (ქორეოგრაფი რ. ხუნდაძე) კარგად შეასრულა ი. ტუსკიას — „სიმღერა ლენინზე" (ტექსტი ბ. კოკელაძის), ტექსტი ს. ფაშალიშვილისა) და „სოფელი კოკი და დარჩელი" — კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

ქვემო სვანეთის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის (ხელმძღვანელები მ. ონიანი და ჯ. მეშველიანი, ქორეოგრაფი ა. გოგიძე) კარგად შეასრულა სვანური სიმღერები „ადოგალიკი" და „ამამ მახვშს" (დამუშავებული ი. მუკანიანის მიერ, დამწყები შ. გუგეგა). მაყურებელთა მოწონება გამოიცვა ანსამბლის მიერ შესრულებულმა სვანურმა ფერხულმა და „მინაოოგალიმ" ცეკვა „ცერეულიამ".

ფსიხოს რაიონის კულტურის სახლის მომღერალთა გუნდის გამოსვლას მაყურებელი გულთბილად შეხვდნენ.

ლაგოდეხის რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა (ხელმძღვანელი ვ. ჭუმბურიძე, ქორეოგრაფი შ. ილმელი) წარმატებით შეასრულა ო. თაქთაქიშვილის „სიმღერა სოციალისტური შრომის გმირზე" (ტექსტი ი. ნინეშვილისა), ვ. ჭუმბურიძისა — „სიმღერა ბერიაზე" (ტექსტი ტ. გოგოლაშვილისა), და ფ. მახათელაშვილის მიერ დამუშავებული „ნუ გიყვარს ქალი".

მაყურებელთა შორის აღფრთოვანება გამოიწვია ქალაქ გორის მასწავლებლის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლამ ნიკო ბახტაძის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა კარგად შეასრულა „სიმღერა სტალინზე" (ფუსაკა შ. შმელიძის, ტექსტი ალ. მორცხელავანის), ძველი ქართული ხალხური სიმღერა „წაოყვანეს თამარ ქალი" (ლოტბარი ვ. წერეთელი) და „გამარჯვების სიმღერა" (მუსიკა გრ. კოკლანიის ტექსტი ალ. მორცხელავანი). გორის ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მე-3 კურსის სტუდენტმა ია ჯაფარიძემ, კარგად შეასრულა ო. გაბინეაძის — „სიმღერა სტალინზე" (ტექსტი ტ. ჭეჩილაშვილისა). დამუშაერეთა საყოველთაო აღტაცება გამოიწვია ცეკვამ „ფანიკოკობა" (ვ. აბაზაშვილისა და ა. ლობეანიძის შესრულებით), „დაკუარმა" და „ქარიოფლმა" (სოლისტები ქ. წერეთელი და ა. ლობეანიძე). ამით დამთავრდა მხატვრული თვითმოქმედების მე-7 რესპუბლიკური ოლიმპიადის მეოთხე კონცერტი.

მბასარაძის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა.

სურათზე: ა. ეფიმაიშვილი (მონაწილეთა) თვალს შეკვლიან ფ. შეკლაშვილიანი ერთად ასრულებს სიმღერას.

ზეტაფონის „რაიონის კულტურის სახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის გამოსვლა.

ფოტო ალ. ფინაბერგის და ი. ალიოროვისა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

1951 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘᲡᲐᲜ ᲞᲠᲔᲛᲘᲘᲡᲐ ᲛᲝᲡᲐᲪᲐᲛᲔᲑᲚᲐᲓ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲛᲘᲛᲪᲔᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი ღებულ ნაწარმოებს 1951 წელს სტალინური პრემიების მოსაპოვებლად.

განსახილველად მიიღება 1949, 1950 და 1951 წლებში გამოქვეყნებული მეცნიერული, მეცნიერულ-პოპულარული ნაშრომები და სახელმძღვანელოები, 1949, 1950 და 1951 წლებში განხორციელებული გამოგონებანი და საწარმოო შეთაბამის მეთოდების ძირეული გაუმჯობესებანი.

ზემოხსენებული ნაშრომებს წარადგენენ სამეცნიერო დაწესებულებანი, უმაღლესი სასწავლებლები, სამინისტროები, უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

წინადადებანი 1951 წლის სტალინური პრემიების მინიჭების შესახებ უნდა გამოიგზავნოს მისამართით: ქალაქი მოსკოვი, ოდანოვის ქუჩა, 11 — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და გამომგონებლობის დარგის სტალინური პრემიების კომიტეტი.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Ⲕ. Ⲓ. (Ბ) ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲘᲗ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყებიან, რომ 17 ოქტომბერს ქალაქ სოხუმში ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთგული მებრძოლი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, გენერალ-მაიორი ᲘᲚᲘᲐᲓᲘᲛᲔ ᲐᲕᲐᲩᲘᲜᲔᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲒᲔᲠᲩᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის გენერალ-მაიორი ᲘᲚᲘᲐᲓᲘᲛᲔ ᲐᲕᲐᲩᲘᲜᲔᲜᲘᲫᲔᲡ გარდაცვალებას.

პარტიული ცხოვრება

კომუნისტები იბრძვიან ციკლური გრაფიკის დასანერგავად

ორი თვის წინათ პარტიის ტყიბულის რაიკომის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე სტალინის სახელობის შახტში ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდების მიზნით შემუშავებულ იქნა ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებდნენ ოთხი მძლავრი ლავის ციკლური გრაფიკით მუშაობის რეჟიმზე გადაყვანას, წვრილი საექსპლოატაციო უბნების გამსხვილებას, ახალი მოწინავე ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებას, სამუშაო ფრონტის მომზადების მიზნით გათხრითი სამუშაოების დაჩქარებას და მიწისქვეშა ტრანსპორტის შეუფერხებელ მუშაობას.

საჭირო იყო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებების ღრმად გაცნობა თვითეული კომუნისტისათვის თვითეული მეშახტისათვის. ამ მიზნით მოწვეულ იქნა პარტბიუროს სხდომა. გარდა ამისა, პროფკავშირულმა ორგანიზაციამ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა პროექტი მეშახტეთა საერთო კრების მსჯელობის საგნად გახადა. მეშახტეებმა ბევრი საქმიანი შენიშვნა და პრაქტიკული წინადადება შეიტანეს. შემდეგ გაიმართა რაციონალიზატორ და გამომგონებელ მეშახტეთა თათბირი. ნოვატორთა შემოქმედებითი აზრი მიმართულ იქნა სამთო სამუშაოების მთლიანი მექანიზაციისაკენ, შრომის ნაყოფიერების გადიდებისაკენ. პარტბიუროს ინიციატივით მოეწყო ინჟინერ-ტექნიკოსთა, საუბნო პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტატორებისა და კედლის გაზეთების რედაქტორების სემინარი. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა გამოყენებულ იქნა რიტმული, მაღალნაყოფიერი, ციკლური მუშაობის დანერგვისათვის.

პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შედეგები თვალნათლივ ჩანს. პირველ სექტემბერს მეოთხე გამსხვილებულ საექსპლოატაციო უბანში, რომელსაც სამთო ტექნიკოსი, ნოვატორი კომუნისტი პ. ნანიკაშვილი ხელმძღვანელობს, ოთხმა მძლავრმა ლავამ დაიწყო ციკლური გრაფიკით მუშაობა. ციკლური გრაფიკით მომუშავე ცვლების უფროსებად და კომპლექსური ბრიგადების ბრიგადირებად პარტიული ორგანიზაციის რეკომენდაციით დანიშნულ იქნენ გამოცდილი კომუნისტი მეშახტეები ა. ცირეკიძე, ღ. ტრუფანოვი, შ. ბანძელაძე, ა. პაკურაძე და სხვები. დიდი ყურადღება მიექცა მიწისქვეშა ტრანსპორტს. ამ უბანზე გაიგზავნენ კომუნისტები— საუკეთესო სამთო სპეციალისტები. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საელმავლო და სავაგონო პარკი. სავაგონო პარკს შეემატა 100 საშახტო ვაგონი, განხორციელდა მიწისქვეშა სარკინიგზო ქსელის რეკონსტრუქცია, მსუბუქი ტიპის რელსები შეცვლილ იქნა მძიმე რელსებით. იმ ადგილებში, სადაც ქვანახშირის ჩატვირთვა წარმოებს, პირველად მოეწყო ელექტროგანათება. ელექტრონის შუქით გაჩირაღდნებულ იქნა აგრეთვე ციკლური გრაფიკით მომუშავე იმ ლავის სანგრევები, სადაც გამოცდილი კომუნისტის დ. ტრუფანოვის კომპლექსური ბრიგადა მუშაობს. მიღებულია ზომები ახლო მომავალში ყველა სანგრევისა და შტრეკის გასანათებლად.

ლავებში დიდ სიძნელეს წარმოადგენდა მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირება მომხვეტ კონვეიერამდე. ამ საქმეს ცვლაში რამდენიმე ათეული კაცი ასრულებდა. ისინი ნიჩბებით ჩამოსწევდნენ ხოლმე ქვანახშირს დახრილი ლავის მთელ სიგრძეზე. პარტიული ორგანიზაციის მითითებით ახლა იმ ლავებში, სადაც ქვანახშირის მონგრევის ოსტატების გ. ცირეკიძისა და შ. ბანძელაძის ბრიგადები მუშაობენ, დაფენილ იქნა რკინის ფურცლები, რომლებზეც იყრება მონგრეული ქვანახშირი და იგი თავისთავად ჩამოდის მომხვეტ კონვეიერამდე. ამ ღონისძიების განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა ლავაში მომუშავე მეშახტეთა რიცხვი, გაადვილდა საქმე.

სამთო მექანიზმების ავარიის სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით მიწის ქვეშ მოეწყო საწყობი, სადაც შეიქმნა ტრანსპორტიორების, ჯალამბრების, ელმავლებისა და სხვა სამთო მექანიზმების სათადარიგო ნაწილების ხელუხლებელი მარაგი. ამ საწყობის მეხებლობას ხელმძღვანელობდნენ კომუნისტები სამთო ინჟინერი გ. ენდელაძე და შახტის მთავარი მექანიკოსი შ. კაკაბაძე.

შემუშავებული და დანერგილია სამთო მექანიზმებისა და დანადგარების გეგმიანი შეკეთებისა და გამოცვლის გრაფიკები. ამ გრაფიკის მტკიცედ განხორციელებისათვის ჩამოყალიბდა ხუთი კაცისაგან შემდგარი სარემონტო ბრიგადა, რომელსაც გამოცდილი ზეინკალი ს. იგნატენკო ხელმძღვანელობს.

შახტის საკომპრესორო მეურნეობა ვერ აკმაყოფილებდა კუმშ ჰაერზე მომუშავე მექანიზმებს. ეს საკითხი პარტიული ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. კომუნისტებმა დააყენეს საკომპრესორო მეურნეობის გადიდების საკითხი. ახლა გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს დამატებით ერთი მძლავრი კომპრესორის დასამონტაჟებლად. მთლიანი რემონტი გაუკეთდა კუმში ჰაერის მილგაყვანილობას.

ცნობილია, რომ მექანიზმების სანიმუშო მოვლა-პატრონობა ხელს უწყობს მათ შეუფერხებელ მუშაობას, ახანგრძლივებს ექსპლოატაციის ვადებს. ამიტომ აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მექანიზმების მოვლა-პატრონობას. მექანიკოსებად შერჩეული არიან საუკეთესო მექანიზატორები — კომუნისტები ს. კოპალეიშვილი, ნ. მოსაშვილი, დ. გვენეტაძე და სხვები.

უკვე საკმაო დრო გავიდა ციკლური გრაფიკით მუშაობის დაწყებიდან. ამ დღეებში შახტის ადმინისტრაციამ და პარტიულმა ორგანიზაციამ შეაჯამეს ახლებურად მუშაობის პირველი შედეგები. უბანში ქვანახშირის სადღეღამისო ამოღება გადიდდა 63 პროცენტით, ლავების წინსვლამ მიაღწია 270 გრძივ მეტრს. ერთი თვის განმავლობაში შესრულებულ იქნა 22 ციკლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ციკლისა. ამაღლდა უბანში მომუშავე მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა მეშახტეების მიერ ნორმის შეუსრულებლობის შემთხვევები. ეს მაჩვენებლები ყოველდღიურად დიდდება. მოპოვებული წარმატებები ცხადყოფენ, რომ ტყიბულის ყველა შახტს მოეპოვება უდიდესი რეზერვები ქვანახშირის ამოღების შემდგომი გადიდებისათვის.

სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობით გააჩაღა ბრძოლა იმისათვის, რომ დანარჩენი ლავებიც ახლო მომავალში გადაიყვანოს ციკლური გრაფიკით მუშაობაზე. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებას წინ ეღობება სიძნელეები, რომელთა დაძლევას ვერ შეძლებენ შახტის ადმინისტრაცია და პარტიული ორგანიზაცია ზემდგომი ორგანოების დაუხმარებლად. როგორც ცნობილია, სტალინის სახელობის შახტში მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით პირველად განხორციელდა ჭერის ყველაზე რენტაბელური და უსაფრთხო მართვის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი. ეს ახალი მეთოდი აადვილებს ციკლური გრაფიკით მუშაობას. მაგრამ საქმე ის არის, რომ არსებული საკარიერო მეურნეობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ უზრუნველყოფს მოქმედი ლავების გაზრდილ მოთხოვნილებას მასალაზე.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატისა და ტყიბულქვანახშირის ტრესტის ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ საკარიერო მეურნეობის წარმადობის გასადიდებლად. საკარიერო მეურნეობამ არ უნდა შეაფერხოს შახტის ყველა ლავაში ციკლური გრაფიკით მუშაობის რეჟიმის დანერგვა.

ვ. ცირეკიძე
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

თათბირი სააგიტაციო მუშაობის საკითხებზე

ქობულეთი. (საკ. კორ.). შედგა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების, აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების, აგიტპუნქტების გამგეების, კედლის გაზეთების რედაქტორებისა და აგიტატორების რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენება რაიონში საგიტაციო-მასობრივი მუშაობის მდგომარეობისა და აგიტატორთა მორიგი ამოცანების შესახებ.

საგიტაციო-მასობრივი მუშაობა რაიონში მნიშვნელოვნად გაძლიერდა, რაც აგიტატორთა შემადგენლობისა და მათდამი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შედეგია. რაიონში ამჟამად საგიტაციო-მასობრივ მუშაობას 700-ზე მეტი აგიტატორი და წამკითხველ-მესაუბრე ეწევა. აგიტატორებისადმი მეთოდური დახმარებისა და მათი იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდის საქმეში დიდ როლს ასრულებს პარტიულ ორგანიზაციებთან შექმნილი 54 აგიტკოლექტივი. სისტემატურად ეწყობა აგიტატორთა სემინარები. პარტიის რაიონულ კომიტეტთან შექმნილია აგიტკოლექტივების ხელმძღვანელებისა და აგიტპუნქტების გამგეების სემინარები, რომლებზეც იხილავენ მეთოდური ხასიათის საკითხებს, აწყობენ საგიტაციო მუშაობის გამოცდილების ურთიერთგაზიარებას. ხშირად იმართება აგიტატორთა ზონალური თათბირები.

განსაკუთრებით კარგად მუშაობენ რკინიგზის ქობულეთის სახალხო სადგურის, სოფელ ხალას ორჯონიკიძის, ქობულეთის ტელმანის, ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობების, ჩაქვის ლენინისა და ოჩხამურის სტალინის სახელობის საბჭოთა მეურნეობების პარტორგანიზაციებთან შექმნილი აგიტკოლექტივები. რაიონში მრავალი მოწინავე აგიტატორია.

თათბირზე აღინიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებები საგიტაციო-მასობრივ მუშაობაში. კვირიკეს საბჭოთა მეურნეობის, ხუცუბნის სტალინის, ჩაქვის სტურუას სახელობის კოლმეურნეობებისა და მუხაესტატეს კოლმეურნეობა „კომკავშირის ხმის" პარტორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობენ აგიტატორებს, აქ სისტემატურად იშლება აგიტკოლექტივების მეცადინეობა, საგიტაციო მუშაობა თვითდინებაზეა დამყარებული.

თათბირზე თავიანთი გამოცდილების შესახებ ილაპარაკეს მოწინავე აგიტატორებმა და პარტიული ორგანიზაციების მდივნებმა.

თათბირმა საგიტაციო მუშაობის გაუმჯობესების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებანი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი

5 ოქტომბერს ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ბ-ნმა ა. კერკმა ინახულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დავალებით გაუკეთა მას სიტყვიერი განცხადება კორეაში შექმნილი მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხზე.

15 ოქტომბერს ა. ი. ვიშინსკიმ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების დროებითი საქმეთა რწმუნებული ბ-ნი კამინგი, რომელიც ცვლის ამჟამად მოსკოვში არმყოფ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს, და გაუკეთა მას შემდეგი განცხადება, რომლის ტექსტი ბ-ნ კამინგს გადაეცა:

„5 ოქტომბერს მე მივიღე მისი თხოვნით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი სსრ კავშირში ბ-ნი ა. კერკი, რომელმაც განაცხადა, რომ მას სურს განიხილოს საკითხი ჩვენს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. ამასთან ელჩმა მაცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ მას მინდობილი აქვს მთხოვოს საბჭოთა მთავრობას გაეცნობო და გენერალისიმუს სტალინის პირადი ყურადღება მივაქციო განცხადებას, რომლის გაკეთებაც ამ საკითხზე მას დავალებული აქვს. შემდეგ ელჩმა წაიკითხა ვრცელი, 7-8 ფურცელზე მოთავსებული განცხადება.

ჩემ მიერ გამოთქმულ სურვილზე — მიმეღო ამ განცხადების ტექსტი, ელჩმა თქვა, რომ, მისთვის მიცემული ინსტრუქციის თანახმად, ეს განცხადება მან უნდა გააკეთოს მხოლოდ სიტყვიერი ფორმით და არ დატოვოს წერილობითი ტექსტი, რამაც ჩემი გაკვირვება გამოიწვია.

1. ბ-ნ კერკის მიერ გაკეთებული სიტყვიერი განცხადების შინაარსი ძირითადად ასეთია:

ა) ბ-ნ კერკის მიერ წაკითხულ განცხადებაში აღნიშნულია, რომ კორეის საკითხი ამჟამად ყველაზე მწვავე და საშიში საერთაშორისო საკითხია, რომელიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს. კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებას ამერიკის მთავრობა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან ფიქრობს, რომ დაზავების შესახებ მოლაპარაკების კეთილსასურველი შედეგი შესაძლებლობას შექმნიდა მოწესრიგებულიყო სხვა გადაუჭრელი საკითხები, რომლებიც დაძაბულობას იწვევენ საერთაშორისო ურთიერთობაში, და დასახავდა სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესების პერსპექტივებს. ელჩმა განაცხადა: ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა ხელს შეუწყობს ამ მოლაპარაკების დადებითად დამთავრებას. მაგრამ, მიმართა რა საბჭოთა მთავრობას ხელშეწყობის შესახებ, ამასთანავე ბ-ნმა კერკმა იხმარა საკმაოდ უცნაური გადაკრული სიტყვები სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის რაღაც შესაძლებელი „უსიამოვნების" შესახებ იმ შემთხვევაში, თუ ეს მოლაპარაკება კეთილსასურველად არ დამთავრდა.

ელჩმა აგრეთვე მაცნობა, რომ ამერიკის სარდლობა იმის წინააღმდეგია, რომ კესონში განხილულ იქნას საკითხი ცეცხლის შეწყვეტის ხაზის განსაზღვრის შესახებ და ის მოიმიზეზა, რომ ეს საკითხი პოლიტიკური ხასიათისაა.

ბ) განცხადებაში ყურადღება ექცევა აგრეთვე საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხს, ამასთან არის ცდა პასუხისმგებლობა საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობისათვის დაეკისროს დემოკრატიულ ქვეყნებს, რომლებსაც ელჩმა „კომუნისტური ბლოკი" უწოდა და რომლებიც თითქოს არ იჩენენ გადაუჭრელი საერთაშორისო საკითხების მოწესრიგების სურვილს. განცხადებაში აგრეთვე აღნიშნულია, რომ საბჭოთა კავშირს თითქოს შეურიგებელი პოზიცია უკავია ბევრი საერთაშორისო პრობლემის მიმართ, და ეს შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში შეშფოთებას იწვევს.

ბ-ნმა კერკმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ღონისძიებანი სამხედრო დარგში არ ისახავენ არავითარ აგრესიულ განზრახვას საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების მიმართ და მიზნად აქვთ მხოლოდ თავდაცვა, და რომ ამას იგი აცხადებს ოფიციალურად თავისი მთავრობის დავალებით.

2. ბ-ნმა კერკმა თავის სიტყვიერ განცხადებაში ილაპარაკა უმთავრესად ორ საკითხზე — კორეაში შექმნილ მდგომარეობაზე და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობაზე.

საბჭოთა მთავრობა ამ საკითხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რასთან დაკავშირებითაც საჭიროა განვაცხადოთ შემდეგი:

ა) **კორეაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.** ბ-ნ კერკის განცხადებიდან ჩანს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას აფიქრებს კორეაში შექმნილი მდგომარეობა და საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების მიმდინარეობა. ასეთი შეფიქრიანება სავსებით გასაგებია, რამდენადაც ყველამ იცის, რომ, გააჩაღა რა ომი კორეელი ხალხის წინააღმდეგ, ამერიკის მთავრობა აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომელიც იწვევს მის შეშფოთებას მის მიერ კორეაში დაწყებული სამხედრო ავანტიურის შედეგის გამო.

მაგრამ ელჩის განცხადება იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სურს კესონის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება, არ ეგუება პოლიტიკას, რომელსაც ამ საკითხში ამერიკის მთავრობა ახორციელებს, რადგან სისტემატურად უარყოფს ყველა წინადადებას, რომლებიც წამოყენებულია კორეის საკითხის მართლაც მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის, სახელდობრ წინადადებას კორეაში აგრესიული ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ, კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანისა და მთელი კორეის საკითხის მშვიდობიანი გზით მოწესრიგების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ საბჭოთა კავშირი იღებს ღონისძიებებს, რათა მიღწეულ იქნას კესონის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება და კორეაში ომის შეწყვეტა.

არა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, არამედ სწორედ საბჭოთა მთავრობამ იკისრა ინიციატივა კორეის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. ჯერ კიდევ 1950 წლის ივლისის დამდეგს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა აზრი გამოთქვა, რომ კორეის კონფლიქტი, რაც შეიძლება მალე მოწესრიგებულიყო უშიშროების საბჭოს მეშვეობით. გენერალური ასამბლეის V სესიაზე 1950 წელს საბჭოთა მთავრობამ აგრეთვე შეიტანა წინადადება კორეის საკითხის დაუყოვნებლივი მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ამავე დროს კორეიდან უცხოეთის ჯარების გაყვანის შესახებ. ბოლოს, 1951 წლის ივნისში სსრ კავშირის წარმომადგენლმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა შეიტანა წინადადება, რომ კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების გზაზე გადადგმული პირველი ნაბიჯის სახით დაწყებულიყო მოლაპარაკება მეომარ მხარეთა შორის საომარი მოქმედების შეწყვეტის, დაზავებისა და ამასთანავე 38 პარალელიდან ორივე მხარის ჯარების უკან დაწევის შესახებ.

რაც შეეხება ელჩის მტკიცებას, თითქოს კესონის მოლაპარაკების გაჭიანურების მიზეზია ჩრდილოეთ კორეის ჯარებისა და ჩინელ მოხალისეთა სარდლობის მიერ დაკავებული პოზიცია, ეს მტკიცება სრულიად უსაფუძვლოა. ხომ ცნობილია, რომ ინგლის-ამერიკის ჯარების სარდლობა კორეაში სისტემატურად უქმნის სხვადასხვა დაბრკოლებას მოლაპარაკების წარმატებით მიმდინარეობას, არც იმას ერიდება, რომ შექმნას სხვადასხვაგვარი ინციდენტი, რომლებსაც გენერალი რიჯუეი მოლაპარაკების გასართულებლად იყენებს. ამერიკის სარდლობის მიერ შექმნილი სწორედ ასეთი დაბრკოლებანი წარმოადგენენ კესონის მოლაპარაკების გაჭიანურების ნამდვილ მიზეზს.

საუკეთესო საშუალება, რომელიც უზრუნველყოფდა დაზავების შესახებ მოლაპარაკების კეთილსასურველ დამთავრებას, ის იქნება, რომ გენერალ რიჯუეის მიუთითონ ნუ ართულებს მოლაპარაკებას ყოველგვარი ინციდენტით, ნუ ქმნის ხელოვნურ დაბრკოლებას უსაფუძვლო დავით, მაგალითად, იმის შესახებ, რომ მოლაპარაკება კესონიდან სადმე სხვაგან გადაიტანონ.

რაც შეეხება ელჩის შენიშვნას, თუ რომელ ხაზზე იქნებიან მხარეების შეიარაღებული ძალები საომარი მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, საბჭოთა მთავრობის აზრით, ეს საკითხი ორგანულად დაკავშირებულია საომარი მოქმედების შეწყვეტის საკითხთან და, მაშასადამე, მას დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში არ შეიძლება გვერდი აუვლოს.

საბჭოთა მთავრობას საჭიროდ არ მიაჩნია შეეხოს მტკიცებას სამხრეთ კორეაში აგრესიის შესახებ, რასაც განცხადება შეიცავს, რადგან უკვე წინათ უდავოდ დადასტურდა ასეთი მტკიცების ცილისმწამებლური ხასიათი.

ელჩის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას იმედი აქვს, რომ საბჭოთა მთავრობა ხელს შეუწყობს კესონში მოლაპარაკების დადებითად დამთავრებას. მაგრამ ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირი არ არის ამ მოლაპარაკების მონაწილე მხარე. პირიქით, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არის ასეთი მხარე, და, მაშასადამე, სწორედ მას შეუძლია განახორციელოს ღონისძიებანი მოლაპარაკების წარმატებით დასამთავრებლად. თავისთავად ცხადია, რომ ყოველგვარ ნამდვილ ღონისძიებას ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირი ამჟამად სავსებით და ენერგიულად დაუჭერს მხარს, ისევე როგორც წარსულში დაუჭერდა.

ბ) **საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შესახებ.** ელჩმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაავალა მას მთხოვოს საბჭოთა მთავრობისა და პირადად გენერალისიმუს ი. ბ. სტალინის ყურადღება მივაქციო იმას, რომ საჭიროა ურთიერთობის გაუმჯობესება ჩვენს ქვეყნებს შორის, ამასთან აღნიშნა, რომ ამ საქმეში, ისევე როგორც სხვა გადაუჭრელ საერთაშორისო საკითხთა მოწესრიგების საქმეში, დიდი როლი ეკუთვნის კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკების კეთილსასურველად დამთავრებას.

რასაკვირველია, საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებლად საჭიროა ვეცადოთ მიღწეულ იქნას კორეის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგება. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ უცდია შეთანხმებოდა შეერთებულ შტატებს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზეც, ისევე როგორც პირველხარისხოვანი მნიშვნელობის სხვა გადაუჭრელ საერთაშორისო პრობლემებზე, როგორიცაა: ღონისძიებანი, რომლებიც გააადვილებენ ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული, დამოუკიდებელი გერმანიის სახელმწიფოს შექმნას და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებას, იაპონიასთან სამშვიდობო მოწესრიგება, ატომური იარაღის აუცილებლად აკრძალვა და მტკიცე საერთაშორისო კონტროლის დაწესება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტა და შეიარაღებული ძალების შემცირება, ომის პროპაგანდის აკრძალვა, მშვიდობის პაქტის დადება.

საბჭოთა მთავრობის ინიციატივით 1951 წელს პარიზში მოწვეულ იქნა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი გერმანიისა და სხვა დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო საკითხებზე. საბჭოთა მთავრობამ წინადადება წამოაყენა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს განზრახული სესიის დღის წესრიგში შეტანილი ყოფილიყო მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვდნენ, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა ატლანტიკის პაქტის და ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში ამერიკის სამხედრო ბაზების საკითხი. მაგრამ ეს წინადადება უარყო ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, ისევე როგორც დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებმა.

თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მართლაც იმის მომხრეა, რომ გაუმჯობესდეს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა და აღიკვეთოს უთანხმოება ზემოაღნიშნული მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემების გამო, თუ იგი მართლაც მშვიდობის მომხრეა, მას საკმაოდ ბევრი შესაძლებლობა ჰქონდა, რათა საქმით დაედასტურებინა თავისი მშვიდობისმოყვარული მისწრაფება, რომელზეც ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის განცხადებაში. მაგრამ ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ეს არ გაუკეთებია.

გ) როგორც ბ-ნმა კერკმა განაცხადა, ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვთ რაიმე აგრესიული განზრახვა საბჭოთა კავშირის და სხვა ქვეყნების მიმართ და ესწრაფვიან ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

ასეთ განცხადებას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა პირველად როდი აკეთებს. ამასთან დაკავშირებით უადგილო არ იქნება გავიხსენოთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ბ-ნ ტრუმენის მიმართვა და ამერიკის შეერთებული შტატების სენატისა და წარმომადგენელთა პალატის ერთობლივი რეზოლუცია, რომლებიც გამოეგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნ. მ. შვერნიკს. ეს დოკუმენტებიც შეიცავდნენ ამგვარ განცხადებებს. მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ამავე დროს გაეუქმებინა საბჭოთა კავშირთან ამერიკის შეერთებული შტატების სავაჭრო შეთანხმება, რომელიც უკანასკნელ ხანამდე მოქმედებდა 1937 წლიდან, გაეყვანა თითქოს სტრატეგიულ მოსაზრებათა საბაბით კანონი, რომელიც კრძალავს რაიმე საფინანსო ან ეკონომიური ეგრეთწოდებული „დახმარების" გაწევას იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც თავიანთ საქონელს გაიტანენ სსრ კავშირში და საბჭოთა კავშირის მეგობარ ქვეყნებში, და მიეღო მთელი რიგი სხვა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეწყდეს ეკონომიური ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ბ-ნ კერკის მიერ წაკითხულ განცხადებაში აგრეთვე ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიერ სამხედრო დარგში განხორციელებული ღონისძიებანი ითვალისწინებენ მხოლოდ თავდაცვას და არ ისახავენ რაიმე აგრესიულ მიზნებს სსრ კავშირისა და სხვა ქვეყნების მიმართ. მაგრამ ასეთი განცხადებანი ეწინააღმდეგებიან ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებას, რომელიც ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა სრულიადაც არ ზრუნავს მშვიდობის დაცვისათვის. ამას მოწმობს არა მარტო კორეელი ხალხის წინააღმდეგ წარმოებული ომი, არამედ აგრეთვე სსრ კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ატლანტიკის აგრესიული ბლოკის შექმნა, გერმანიისა და იაპონიის რემილიტარიზაცია, გამალებული შეიარაღება, საბჭოთა კავშირის გარშემო ამერიკის მრავალი სამხედრო ბაზის შექმნა და სხვ.

დ) საბჭოთა მთავრობა გვერდს ვერ აუვლის ელჩის შენიშვნებს „არასასურველი შედეგებისა" და ჩვენს ქვეყნებს შორის შესაძლო „უსიამოვნების" შესახებ იმ შემთხვევაში, თუ კესონის მოლაპარაკებას დადებითი შედეგები არ მოჰყვა. უწინარეს ყოვლისა შეგვიძლია ვიკითხოთ, სახელდობრ რა „არასასურველი შედეგები" ან „უსიამოვნება" აქვს მხედველობაში ამერიკის მთავრობას? თუ საქმე ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის შემდგომ გაუარესებას, საეჭვოა, წარმოვიდგინოთ, რომ ეს ურთიერთობა შეიძლება კიდევ უფრო გაუარესდეს მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ტრუმენმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, საბჭოთა კავშირთან შეთანხმებანი ფარატინა ქაღალდად არ ღირსო. ასეთ ვითარებაში განა შეიძლება სერიოზულად მივიჩნიოთ განცხადებანი, რომ სურთ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება? განა უფრო სწორი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ნამდვილად საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას და საბჭოთა კავშირთან თანამშრომლობას კი არ ესწრაფვის, არამედ დაინტერესებულია მხოლოდ ლაპარაკით თანამშრომლობასა და შეთანხმებაზე.

მიუხედავად ამისა, საბჭოთა მთავრობა, რომელიც იცავს თავის სამშვიდობო პოლიტიკას და განუწყვეტლივ ისწრაფვის თანამშრომლობა დაამყაროს ყველა ქვეყანასთან, რომელიც მზად არის საბჭოთა კავშირთან ითანამშრომლოს, თანახმაა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მონაწილეობით განიხილოს ყველა მნიშვნელოვანი და მოუწესრიგებელი საკითხი და დასახოს ღონისძიებანი საერთაშორისო ურთიერთობის, მათ შორის საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გასაუმჯობესებლად".

მატულობს აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს აბრეშუმის მრეწველობის მთავარი სამმართველოს საწარმოები გადამეტებით ასრულებენ აბრეშუმის ქსოვილების გამოშვების გეგმას. მნიშვნელოვნად გაიზარდა გაუმჯობესებული ხარისხის წმინდა აბრეშუმისა და შტაპელის ქსოვილების გამომუშავება. წარმოებაში დანერგილია რამდენიმე ასეული ახალი ნახატი.

ოქტომბერ-დეკემბერში მთავარი სამმართველოს საწარმოებმა აბრეშუმის ქსოვილების გამოშვება მესამე კვარტალთან შედარებით უნდა გაადიდონ 2 მილიონი მეტრით. (საქტესი).

ახალი მასალები მ. ვ. ლომონოსოვის შესახებ

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ დიდი მუშაობა გასწია რუსი მეცნიერის მ. ვ. ლომონოსოვის სამეცნიერო მემკვიდრეობის შემდგომი შესწავლისათვის. ახალი მასალები და გამოკვლევები შევიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის მიერ გამოშვებულ კრებულში. კრებულში მოთავსებულია მოსკოვისა და ლენინგრადის არქივებში აღმოჩენილი წინათ უცნობი ხელნაწერები ლომონოსოვისა და ბევრი ცნობა მისი მრავალფეროვანი მოღვაწეობის შესახებ.

კრებულის მასალები გვიჩვენებენ დიდი მეცნიერის მიერ წარმოების ცალკეული დარგების ტექნოლოგიის დამუშავების პროცესს, იძლევიან წარმოდგენას ნოვატორი მეცნიერის — მოწინავე მეცნიერებისა და პრაქტიკის ერთიანობისათვის მებრძოლის შესახებ.

ლომონოსოვის ქიმიური ლაბორატორიის მოწყობისათვის მიძღვნილ კარში აწერილია ხელსაწყო, რაც პირველად შემოღებულია ხმარებაში დიდ რუს მეცნიერს.

დიდ ინტერესს წარმოადგენს, თავი „ლომონოსოვი როგორც რუსეთის მადანთა მკვლევარი". ეს თავი იწყება ლომონოსოვის მოსწრებული სიტყვებით: „ლითონთა საძიებლად გარჯასა და შრომას მოითხოვს ვრცელი და მდიდარი რუსეთი. თითქოს მესმის, რომ იგი ეუბნება შვილებს: „იმედიანად ჩასწვდით ჩემს წიაღს და ნუ იფიქრებთ, რომ ძიება თქვენი ამაო იქნება".

მ. ვ. ლომონოსოვი მადნეულის შესწავლის ფუძემდებელია. ჩვენს დრომდე ორი საუკუნით ადრე შექმნა მან სამეცნიერო ლაბორატორია, რომელშიც მოაწყო რუსეთის მადანთა პირველი კვლევა.

წიგნში შეტანილია აგრეთვე ახალი მასალები მ. ვ. ლომონოსოვის მიწერ-მოწერაზე XVIII საუკუნის უდიდეს მათემატიკოსსა და ფიზიკოს ლეონარდ ეილერთან. გამოქვეყნებულია ეილერისადმი ლომონოსოვის წერილის ავტოგრაფი. წერილი დათარიღებულია 1748 წლის 16 თებერვლით.

დიდ ინტერესს წარმოადგენს წიგნში გამოქვეყნებული ენგელსის შენიშვნები ლომონოსოვის შესახებ. ეს შენიშვნები მოწმობენ, რომ ენგელსი გულმოდგინედ ადგენდა ლომონოსოვის თხზულებების, უწინარეს ყოვლისა საბუნებისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულებების ნუსხას. (საქტესი).

ახალ მშენებლობებზე

პირველი დღეები

ამ რამდენიმე დღის წინათ ჩელუსკინელთა ხიდს ზემოთ, მტკვრის მარცხენა ნაპირზე დაიწყო სანაპიროს ახალი კედლის სამუშაოები. ეს სანაპირო უახლოეს მომავალში მიყვანილ იქნება ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკამდე, სადაც იგი ტელმანის ქუჩის გაგრძელებას შეუერთდება.

სწრაფად გაიშალა მშენებლობის ფრონტი. ხუთ დღეში შეიცვალა მდინარის რიყით დაფარული ნაპირის ძველი სურათი. აქ დაუსრულებლივ მიდიმოდიან ავტომანქანები, გადააქვთ სხვადასხვა სამშენებლო მასალა, უკვე მთავრდება სპეციალურად ამ სანაპიროსათვის განკუთვნილი ბეტონის ქარხნის მშენებლობა.

თავდადებული შრომის შესანიშნავ მაგალითს იძლევა გორის რაიონის სოფელ ქახვრელიდან ჩამოსული ახალგაზრდა მებეტონე არჩილ ჯანეზაშვილი.

შემოდგომის დიდი წვიმების შემდეგ მტკვარი მეტისმეტად ადიდდა, ძნელი გახდა მდინარეში პირველი გადამლობი ჯებირის საძირკვლის ჩადგმა და დამაგრება. გაიმართა აზვირთებულ ტალღებთან ბრძოლა. ამ ბრძოლაში ყოველთვის მოწინავე პოზიციებზე იდგა ა. ჯანეზაშვილი. მშენებლობის სამუშაოთა მწარმოებელი გამოცდილი ინჟინერი ვლადიმერ ტუღუში პირადად ხელმძღვანელობდა საძირკვლის ჩადგმის საქმეს. გაიმარჯვეს მშენებლებმა.

მშვიდობაზე ფიქრით გამსჭვალული შრომობს სანაპიროს ყველა მშენებელი. მათ შორის სამაგალითოა მედურგლეთა ბრიგადა, რომელსაც სტეფანე ლიპოვი ხელმძღვანელობს. ეს ბრიგადა ყოველდღე გადამეტებით ასრულებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებას. ამხ. ლიპოვი სტალინის სახელობის სანაპიროს მშენებლობის დაწყების პირველი დღიდანვე აქ მუშაობს. მრავალი ახალგაზრდა დურგალი გამოუზრდია მას. მათ შორის აღსანიშნავია ნიკოლოზ ცხვედაძე. ამხ. ლიპოვს ახარებს ის, რომ თავისი აღზრდილები არ ჩამორჩებიან აღმზრდელს. მათი სახელები, სტახანოველების სახელები ამშვენებენ მოწინავეთა დაფას.

სანაპიროს ახალ მშენებლობაზე პირველი დღიდანვე ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია კარგად ხელმძღვანელობს და წარმართავს მასების შემოქმედებით ინიციატივას, ქმედითად ეხმარება რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან საერთო-სახალხო მშენებლობაზე ჩამოსულ კოლმეურნეებს ტექნიკის ზედმიწევნით დაუფლებაში.

თავისი სურვილით მცხეთის რაიონის სოფელ ნიჩბისიდან სანაპიროს მშენებლობაზე მოვიდა დავით ჩივაძე. მან გადაწყვიტა შეესწავლა მებეტონეობა. სანაპიროს მშენებლობაზე ჩამოყალიბებულ ტექნიკის შემსწავლელ წრეში ჩარიცხეს. წრეში შეძენილი ცოდნა ამხ. ჩივაძემ კარგად გამოიყენა. მის მიერ დაბეტონებული სანაპიროს კედელი სანიმუშოა. ახლა იგი ბეტონის ქარხნის მშენებლობაში მონაწილეობს და დღიურ დავალებას 200-250 პროცენტით ასრულებს.

დ. ჩივაძეს არ ჩამორჩება კასპის რაიონიდან მშენებლობაზე ჩამოსული კოლმეურნე მიხეილ ლავრელაშვილი. ისიც ცნობილი მშენებელი მებეტონე გახდა. პირველ დღეებშივე შემოქმედებითი შრომით თავი ისახელეს აგრეთვე ახალგაზრდა ტექნიკოსმა კომკავშირელმა ოთარ ორაგველიძემ, მებეტონეთა ბრიგადირმა კომუნისტმა იოსებ ლავრელაშვილმა, სტახანოველებმა ნ. გოგილაშვილმა, ზ. ბეგლარაშვილმა, ე. ფილიმონოვმა და სხვებმა.

არა დღეობით, არამედ საათობით ფართოვდება მშენებლობის ფრონტი.

მშენებლებმა ერთსულოვნად მოაწერეს ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას და ახალი შრომითი მამაცობით განამტკიცებენ თავიანთ ხელმოწერას. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავის აღსანიშნავად მათ ვალდებულება იკისრეს გასწიონ სამშენებლო მასალის ეკონომია და 220 მეტრ სიგრძეზე გააკეთონ მდინარის გადამლობი ჯებირი.

გვიან ღამემდე არ სცილდებიან ხარაჩოებს დურგლები, მებეტონეები... მათი თავდადებული შემოქმედებითი შრომით, შესანიშნავი წარმატებებით სამართლიანად ამაყობს არა მარტო სტალინის სახელობის სანაპიროს მშენებელთა კოლექტივი, არამედ ჩვენი დედაქალაქის ყველა მშრომელი.

ა. გოცირიძე

ახორციელებენ რაციონალიზაციულ ღონისძიებებს

რუსთავი. (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავისათვის მზადების დღეებში მეტალურგიულ ქარხანაში სამშენებლო ობიექტებზე ახალ ღონისძიებათა განხორციელებით აადვილებენ შრომას და აჩქარებენ გეგმების შესრულებას.

ქარხნის გზათა საამქროს უფროსის დ. ფურცელაძის წინადადებით ერთმანეთს უმოკლესი მანძილით დაუკავშირეს რკინიგზის ორი ხაზი. ამ ღონისძიების განხორციელებამ რკინიგზელებს შესაძლებლობა მისცა თავიდან აიცილონ ხანგრძლივი მანევრირება, რაც წინათ საჭირო იყო მარტენის საამქროდან ბოყვების ეზოში მატარებლის შესაყვანად, და ამით საგრძნობლად შეამცირა ტვირთის გადაზიდვის დრო. იგი ქარხანას ყოველწლიურად 196 ათასი მანეთის ეკონომიას მისცემს.

ბულაჩაურის წყალსადენის მშენებლობის ტრასის ერთ-ერთ უბანზე წყალგაყვანილობის აგება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. ინჟინერმა შ. ბერიშვილმა წყალგაყვანილობის მშენებლობის პროექტში შესწორება შეიტანა, ხაზი სხვა მიმართულებით გადაანაცვლა. ამით ხევში გასაყვანი მილის სიგრძე 456 მეტრით შემცირდა, გაადვილდა და დაჩქარდა წყალგაყვანილობის მშენებლობა და გაწეულ იქნა 83 ათასი მანეთი ეკონომია.

თბილისი. სახოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა. **სურათზე:** საოქტომბრო შეჯიბრების მონაწილე სტახანოველი ს. ბუიძე, რომელიც გამომუშავების ნორმებს 250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

ზაჰესის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა წლიური გეგმა

ლენინის სახელობის ზემო ავჭალის ჰიდროელსადგურის კოლექტივმა (დირექტორი ამხ. ხეთაგური, პარტბიუროს მდივანი ამხ. მაისურაძე, საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ზოსიმოვი) 16 ოქტომბერს ვადაზე ადრე შეასრულა ელექტროენერგიის გამომუშავების წლიური გეგმა. 9 თვეში ელექტროენერგიის ეკონომია შეადგენს 5,3 პროცენტს, თვითეული კილოვატსაათის თვითღირებულება შემცირებულია 15,5 პროცენტით, გაწეულია ზეგეგმითი ეკონომია 405 ათასი მანეთის რაოდენობით.

ზაჰესის კოლექტივმა იკისრა ახალი ვალდებულება — წლის ბოლომდე გამოიმუშაოს ათეულ მილიონობით კილოვატსაათი ელექტროენერგია და კიდევ უფრო გააუმჯობესოს ხარისხობრივი მაჩვენებლები.

ელექტრომეურნეობის რეკონსტრუქციის სამუშაოები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ზამთრისათვის მზადებასთან დაკავშირებით ქუთაისის ელექტრონაგებობათა სამმართველომ მნიშვნელოვანი სამუშაოები შეასრულა. გაჭიმულ იქნა მავთული 102 კილომეტრზე, შეიცვალა სპილენძისა და ალუმინის მცირეკვეთიანი ხაზი 37 კილომეტრზე და დაიდგა 275 ახალი ბოძი.

8 ელექტროკიოსკში კაპიტალურად შეკეთდა ელექტროდანადგარები, თერთმეტნახევარ კილომეტრზე მოეწყო ახალი ქსელი ქუჩების განათებისათვის.

თესლის დამხარისხებელი მანქანა

ახალციხე. (საკ. კორ.). „ზაგოტზერნოს“ ახალციხის პუნქტმა ქალაქ გორკიდან მიიღო თესლის დამხარისხებელი ახალი მანქანა. პუნქტში მუშაობს აგრეთვე საკონდიციო თესლის ორი მანქანა.

ამჟამად თესლის გადარჩევას აწარმოებენ მექანიზებული წესით. ამის გამო დღეში ათჯერ გადიდდა კონდიციური თესლის დამზადება და მნიშვნელოვნად შემცირდა თესლის გადარჩევაზე მომუშავეთა რაოდენობა.

ჯავაში ცუდად ემზადებიან პირუტყვის გამოზამთრებისათვის

ჯავის რაიონის კოლმეურნეობებისათვის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. კოლმეურნეობათა განმტკიცება ბევრად არის დამოკიდებული საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომ განვითარებაზე. ამ პასუხსაგები ამოცანის წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს პირუტყვის საუკეთესო გამოზამთრება.

მთიან ჯავაში ზამთარი ადრე იწყება და ხანგრძლივი იცის. ეს გარემოებაც პირუტყვის გამოზამთრების მზადებისადმი განსაკუთრებით სერიოზულ დამოკიდებულებას მოითხოვს. მაგრამ ამ მხრივ ჯავაში დიდ ნაკლოვანებებს ვხვდებით.

მიუხედავად იმისა, რომ სილოსის ჩადების ვადები იწურება, რაიონის 44 კოლმეურნეობიდან სილოსის ჩადებას სრულიად არ შესდგომია 21 კოლმეურნეობა, ე. ი. თითქმის ნახევარი. რაიონის კოლმეურნეობებმა გეგმით უნდა ჩადონ 1.300 ტონა სილოსი — 15 ოქტომბრისათვის ჩადებული იყო მხოლოდ 460 ტონა.

სოფელ გუფთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში აქვთ საზოგადოებრივი მეცხოველეობის დიდი ფერმები. აქ მეცხოველეობის განვითარების ფართო შესაძლებლობაა. მაგრამ გუფთაში ამ შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ იყენებენ და ვერ ასრულებენ პირუტყვის მოშენების სახელმწიფო დავალებას. დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა. 1 ოქტომბრისათვის თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 233 ლიტრი რძე, მაშინ როცა გეგმა 735 ლიტრს ითვალისწინებს. მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში კოლმეურნეობას მოუვლელობით 65 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა რქიანი პირუტყვი დაეხოცა. კოლმეურნეობა ცუდად ემზადება პირუტყვის გამოზამთრებისათვის. საკოლმეურნეო ფერმები უზრუნველყოფილი არ არიან საკმაო რაოდენობის თბილი სადგომებით. პირუტყვისათვის მცირე რაოდენობით ამზადებენ საკვებს, იმასაც დაბალხარისხოვანს.

კოლმეურნეობის გამგეობამ, მისმა თავმჯდომარემ ვ. ცხოვრებოვმა და მეცხოველეობის ფერმის გამგემ ა. ჯიოევმა დაივიწყეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის ცუდად მომზადების წინა წლების სავალალო შედეგები და ამჟერადაც თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ შექმნან პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზა, უზრუნველყონ საქონელი თბილი ბინებით.

კოლმეურნეობაში მისვლისთანავე ყურადღებას იქცევს კალოებზე, ღია ცის ქვეშ დახვავებული ბზე.

— ეს ბზე უნდა გაეზიდათ იმათ, ვისაც კერძო ბინაში უბია კოლმეურნეობის მუშა-პირუტყვი, მაგრამ მოუცლელობის გამო ველარ მიიტანეს დანიშნულების ადგილზე, — განმარტავენ აქ.

გეგმით კოლმეურნეობას 60 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ტევადობის სადგომი უნდა აეშენებინა, მაგრამ მშენებლობა ჯერაც არ დაწყებულა. პირუტყვი დღესაც კერძო ბინებშია მოთავსებული.

რემონტს მოითხოვს კოლმეურნეობის პირუტყვის ძველი სადგომები.

გუფთის კოლმეურნეობამ უნდა ჩადოს 35 ტონა სილოსი. ამ დავალების შესასრულებლად აქ არაფერია გაკეთებული. ჯერ სასილოსე ორმოებიც არ გაუსუფთავებიათ. კოლმეურნეობას ტონობით აკლია აგრეთვე უხეში საკვები.

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებას შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობით ეკიდებიან სოფელ ჩასავალის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში. აქ თავიდანვე ცუდად მოაწყეს თივის ალება და პირუტყვის სადგომებთან მისი მიზიდვა და, მიუხედავად იმისა, რომ თივის ალების ყოველგვარი ვადები უკვე გავიდა, კოლმეურნეობას გეგმით გათვალისწინებული 472 ჰექტარიდან მხოლოდ 260 ჰექტარზე აქვს აღებული თივა. კოლმეურნეობას (თავმჯდომარე ლ. ხუგაევი) გეგმით გათვალისწინებული 70 ტონიდან დღემდე არც ერთი კილოგრამი სილოსი არა აქვს ჩადებული.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა სოფელ თედელეთის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაშიც. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. ბიტიევმა თავი ვერ მოაბა პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების დიდმნიშვნელოვან საქმეს. კოლმეურნეობამ ვერ შეასრულა თივის დაგროვების დავალება. გეგმით გათვალისწინებული 305 ჰექტარიდან თივა აღებულია 225 ჰექტარზე. სილოსი 25 ტონა უნდა ჩაედოთ, მაგრამ დღემდე ეს საქმე დაწყებულიც არ არის. ასეთივე მდგომარეობაა სოფელ მსხლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ს. ცხოვრებოვი).

პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადება ძლიერ ცუდად მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ ბუზალის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის (კოლმეურნეობის თავმჯდომარე მ. გასიევი), სოფელ ტონტობეთის 13 კომუნარის სახელობის (თავმჯდომარე ლ. კოჩიევი), ქემერთის ჟდანოვის სახელობის (თავმჯდომარე ნ. ჯაბიევი) და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში.

რაიონში პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადების საქმეში მიღებული ზომები არადამაკმაყოფილებელია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ პარტიის ჯავის რაიკომს ბიუროზე დღემდე არ განუხილავს ეს საკითხი.

საჭიროა ზამთრამდე დარჩენილი მცირე დრო მაქსიმალურად იქნას გამოყენებული პირუტყვის გამოზამთრებისათვის მზადებაში ჩამორჩენის სალიკვიდაციოდ.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სამუშაოთა შესრულება კოლმეურნეობებში

(საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს 15 ოქტომბრის ცნობებით)

სიმინდის ტეხა

ოქტომბრის მესამე ხუთდღიურში საქართველოს კოლმეურნეობებში აღებულია 12 ათასზე მეტი ჰექტარი სიმინდის მოსავალი, სულ კი 15 ოქტომბრისათვის — 107.399 ჰექტარი, რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 41 პროცენტით.

სიმინდის ტეხა დამთავრებულია ქარელის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, დმანისის, ზესტაფონისა და თერჯოლის რაიონებში.

ხაშურის რაიონში დავალება 94,8 პროცენტით არის შესრულებული, ყვარლის რაიონში — 94,5, თბილისის გარეუბნის — 97,3, თეთრი წყაროს — 89,5, თელავის — 85,1, ბოლნისის — 80,2, წყალტუბოს — 80,5, ქვემო სვანეთის — 89, კასპის — 73,9, სიღნაღის — 75,5, ახმეტის—74,9, ამბროლაურის — 66,1, მაიაკოვსკის — 61,6, ქუთაისის რაიონში — 60,9 პროცენტით.

კარტოფილის მოსავლის აღება

15 ოქტომბრისათვის კოლმეურნეობებმა 4.264 ჰექტარი კარტოფილი აიღეს, რესპუბლიკური გეგმა 22,4 პროცენტით შეასრულეს.

მოსავალი მთლიანად აიღეს კასპის, სიღნაღის, წითელწყაროს, ახმეტის, წყალტუბოს რაიონებმა.

ბოლნისის რაიონში გეგმა 91,2 პროცენტით არის შესრულებული, ლაგოდეხის რაიონში — 90, თბილისის გარეუბნის — 80,8, მარნეულის — 86,9, თელავის — 73,1, გარდაბნის — 63,4, საჩხერის რაიონში 65,4 პროცენტით.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსავლის აღების დავალება 83,8 პროცენტით არის შესრულებული.

ბალახების თესვა

რესპუბლიკის კოლმეურნეობებში დაწყებულია ბალახების თესვა, უკვე დათესილია 458 ჰექტარი. აქედან დმანისის რაიონში — 145 ჰექტარი, თელავის — 100, მარნეულის — 96, ახალციხის — 92, ამბროლაურის — 14, წულუკიძის რაიონში — 11 ჰექტარი.

სატრაქტორო სამუშაოები

კოლმეურნეობებში ბევრგან სატრაქტორო სამუშაოები ვადამდე გადაჭარბებით არის შესრულებული. წლიური გეგმები განაღდებულია ტიბაანის, თელეთის, ალაზნის, ავრალის, ქუთაისის, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ცხაკაიის, ლანჩხუთისა და ოჩამჩირის მტს-ების მიერ.

დავალება 90-ზე მეტი პროცენტით არის შესრულებული ტყვიავის, ქედის, თელავის, ლაგოდეხის, ქობულეთის, მახარაძის, კოლხიდის, სამტრედიის მტს-ებში, ხოლო 80-ზე მეტი პროცენტით — ახალსოფლის, კასპის, წითელქალაქის, ზნაურის, თიანეთის, გურჯაანის, ბადიაურის, აფენის, დილმის, მცხეთის, თამარის, გუდაუთის, ჩოხატაურის, აბაშის მტს-ებში.

ერთი ანდაზის სიქვდილი

★

გიორგი შატბერაშვილი

★

ძველად აღმოსავლეთ საქართველოში რაც უნდა ავდრიანი გაზაფხული დამდგარიყო, გამოცდილი გლეხი მაინც არ ენდობოდა ბუნების მიერ ბოძებულ წყალობას. ყინვა წყალს გამოუშვებდა და დამშრალ ხევებს აახმიანებდა თუ არა, გლეხიც ბარს აიღებდა და რწყავდა ნათესებს, ბაღ-ვენახებს; მან იცოდა, რომ „ცის ნამი“ გამომშრალ მიწას არ ეყოფოდა, დადგებოდა ზაფხულის გვალვა, ქროლვას დაიწყებდა მხურვალე ქვენა ქარი და ვაი იმ ყანას, რომელიც დათავთავებას და დაპურებას ვერ მოასწრებდა.

ახლაც იმ სოფლებში, სადაც ჯერ სარწყავი არხები არ არის გაყვანილი, ხშირად გაიგონებთ ანდაზად ქცეულ გამოთქმას:

„ნიაღვარი ბარს რომ გართმევდეს, წყალი ნათესში შეუგდეო“...

მართლაც, გადაუღებელ თავსხმაშიც კი, რომელიც ერთის შეხედვით მიწის ძოსარწყავად საკმარისი უნდა იყოს, ხშირად დაინახავთ მხარზე ბარგადებულ, თავზე ტომარაგადაფარებულ ვაჟკაცს. იგი შარვალაკარწახებული მიიჩქარის, ცდილობს ისარგებლოს შლამიანი ნიაღვრით ან მოდიდებული სარწყავი ნაკადულით, რომ როგორც თვითონ იტყვის — „გულიანად დააყიოს მოწყურებული მიწა“.

უკანასკნელ წლებში ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით ჩვენს ქვეყანაში მრავალი არხი იქნა გაყვანილი. სისტემატურმა რწყვამ, სასუქებით მიწის გამდიდრებამ და ხვნა-თესვისა და მოსავლის აღების მექანიზაციამ წელს პურის დიდი მოსავლის მოყვანა უზრუნველყო.

ამით აიხსნება ის უჩვეულო გულისყური და მოწადინება, რომლითაც კასპის რაიონის მშრომელებს თეზი-ოკამის არხი გაჰყავთ.

აი ახლა, შემოდგომის ადრიან დილით, კავთისხევის მშრომლები სატვირთო მანქანებით თეზი-ოკამის არხის მშენებლობაზე მიეშურებიან.

სანამ თეზი-ოკამის არხის მშენებლობის უბანს მივაღწევთ, ჯერ აშურიანის ველი უნდა გადავჭრათ და შემდეგ მცირე უღელტეხილი გადავიაროთ.

აშურიანის ველზე მივდივართ. ეს გრძელი, მტკვრის მარჯვენა მხარეს გაწოლილი ვაკე-მინდვრები დღემდე უმნიშვნელო მოსავალს იძლევიან და მხოლოდ თეზი-ოკამის არხის მშენებლობის დამთავრების შემდეგ გადაიქცევიან უხვმოსავლიან ადგილად.

„მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლისციხემდე“... ამბობს ამ ადგილების შესახებ ცნობილი ისტორიკოს-გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი.

უღელტეხილზე ვართ. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ისევ ადრიანი დილაა და ცაც მოწმენდილია, ჯანღს დაუბურავს ჩრდილოეთის შორეული ჰორიზონტი და „ცისა და ქვეყნის შუა დაკიდული“ მყინვარწვერიც კი არ მოჩანს. ყვითლად გადაშლილან მუხრანისა და ალაიანის უზარმაზარი ველები. მუქმწვანე ფერებში ჩაბურულან ახლომახლო სოფლები მუხრანი, ალაიანი, თეზი, ოკამი. უფრო შორს მუხრანს გადაღმა ბუნდოვნად მოჩანს წილკანი და ძალისი, ხოლო თეზისა და ოკამის გადატრუსულ ფერდობს იქით—ლამისყანის შემაღლებული გადასახედი.

ამ სოფლებს შორის, დაბლობზე მოიკლაკნება მდინარე ქსანი, რომლის დამორჩილებისათვის ამ დილით კასპის რაიონის სამი ათასზე მეტი კოლმეურნე გამოსულა წერაქვითა და ბარით, მანქანებითა და ურმებით.

ალაიანის მინდორი ვახუშტის ცნობით ყოფილა „უწყლო, უნაყოფო“... მხოლოდ „დასავლით ქსნისა, ირტოთეზ-ოკამის მინდორი ირწყვის ქსნის რუთივე და ნაყოფიერებს“.

ეს ძველი რუც ვახუშტის შემდეგ ჟამთა სიავის წყალობით მოშლილა და დავიწყებას მისცემია. მხოლოდ ჩვენს დროში ხორციელდება ქართველი გლეხის ოცნება. იგი მხარზე ბარგადებული გასცქერის დიდ მანძილზე გაწოლილ არხს, რომლის სათავე სტალინირის რაიონის სოფელ ახმაჯშია.

შრომისმოყვარე ხალხი დახვევია არხს. კავთისხევის, თვალადის, თელათგორის, ეზატის, მეტეხის, ყარალაჯის, ზემოხანდაკის და სხვა სოფლების მშრომლები დილიდან საღამომდე მუშაობენ, რომ გვალვასა და მოუსავლობას გამოსტაცონ 6.000 ჰექტარზე მეტი მიწა.

კასპის რაიონის ხელმძღვანელობამ დიდი მუშაობა გასწია იმისათვის, რომ პურის მოსავლის აღების დამთავრებისთანავე რაიონის მშრომელები ორგანიზებულად გამოეყვანა სამუშაოდ.

არხის მშენებლობის დამთავრება განზრახულია მიმდინარე წლის ნოემბრის დღესასწაულისათვის.

თეზი-ოკამის არხი მორწყავს ლამისყანის, თეზის, ოკამის, ხეითის, იგოეთის, კასპის, ალაიანის, ჩანგილარის და საქადაგიანოს ურწყავებს და გადააქცევს მათ უხვმოსავლიან მინდვრებად.

მეორე რიგის სამუშაოებით გათვალისწინებულია ამავე არხის წყალი გადაიქაჩოს სოფელ ქვემოჭალის საჭიროებისათვის.

არხის მშენებლობის წარმატებით დამთავრება რაიონის ელექტროფიკაციასაც უზრუნველყოფს. სოფელ იგოეთთან უკვე დაწყებულია ელექტროსადგურის მშენებლობა, რომელიც კასპის რაიონის სოფლებს გააშუქებს.

არხზე მომუშავე თვალადელებს, ეზატელებს, შუაუბნელებს და ბოტისელებს თავს დასტრიალებს კოლმეურნეობის თავმჯდომარე, ენერგიული და მუდამ მოუსვენარი, ჩასხმული ტანის ვანო ხოკერაშვილი; იგი სამამულო ომიდან დაბრუნებისთანავე სათავეში ჩაუდგა თვალადის კოლმეურნეობას და ამჟამად თავმჯდომარეა კავთისხევის ზემოთჩამოთვლილი ოთხი სოფლის გაერთიანებული კოლმეურნეობისა, რომელიც ქართველი ხალხის სამაყო შვილის ლავრენტი ბერიას სახელს ატარებს. კოლმეურნეობამ შარშანვე მიიღო ზომები უხვი მოსავლის უზრუნველსაყოფად და კარგი მოსავალი მოიყვანა.

— ეჰ, წყალი არ გვყოფნის, თორემ ჩვენ ვერავინ გაგვასწრებდა. გასულ წლებში დოეს-გრაკლის არხის მშენებლობაზე ვიმუშავეთ, ახლა თეზი-ოკამის არხზე ვმუშაობთ, სულს რომ მოითქვამენ, ახლა ესენი მოგვეხმარებიან და კავთისხეველებსაც გვეშველება! — ამბობს ვანო და არხზე მომუშავეებს გასცქერის. მართლაც უნდა ითქვას, რომ მთელს კასპის რაიონში წყალი ყველაზე მეტად კავთისხევსა და მის ლომისჯნავე პატარა სოფლებს თელათგორსა და წინარეხს უჭირთ. მთის პატარა მდინარეების კავთურისა და გულალუალას წყალი ამ სოფლების სარწყავი მიწების მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს რწყავს. მიუხედავად იმისა, რომ კავთისხევის მიწები თეზი-ოკამის სარწყავ სისტემაში არ ხვდება, ამ სოფლის კოლმეურნეები არანაკლები ენერგიით აკეთებენ თავისი მეზობლების საქმეს და დარწმუნებულნი არიან, რომ ხვალ-ზეგ დოესელები, გრაკლელები, თეზელები და ოკმელები იმუშავებენ ახალ არხზე, რომელიც კავთისხევის ნაყოფიერ, მაგრამ უწყლო მიწებს მორწყავს.

კავთისხევის კოლმეურნეობას 150-მდე კაცი გამოუყვანია სამუშაოდ. რამდენიმე დღეა თავაუღებლად და ნაყოფიერად მუშაობენ კოლმეურნე ქალები ქეთო ჭაობაშვილი, კატო კაციაშვილი, მარო კელაპტრიშვილი, ნინო ალაპიშვილი, მერი კანდელაკი, ოლია დევსურაშვილი, ნადია მონასელიძე, მარიამ შეშაბერიძე, ანა აბულაძე და სხვ.

ასევე კარგად მუშაობენ მოსავლის აღებაში მოწინავე კოლმეურნე ვაჟკაცები: მიტო მექნარიშვილი, დათა კაციაშვილი, კოლა ნაცვლიშვილი, შალვა ხომასურიძე, შაქრო მონასელიძე, დათა მონასელიძე, გეგენა შეშაბერიძე, კოლა ნოქარაშვილი, გიორგი აბულაძე, ვასო დაბრუნდაშვილი და სხვ.

თავგამოდებით მუშაობს სამოც წელს მიტანებული თვალადელი ბაგრატ კაციაშვილი. ბაგრატი დაბალი ტანის, ხმელი აგებულების, ახალგაზრდული შესახედაობის კაცია. ამ შთაბეჭდილებას უფრო მეტად აძლიერებს მისი მოძრავი თვალები, ჭაბუკური ულვაშები და ჰუმორით აღსავსე მკაფიო მეტყველება.

ბაგრატი ათი შვილის მამაა. ათივე ცოცხალი და ჯანმრთელი ჰყავს. ხუთი ქალი, ხუთი ვაჟი. სახელების ჩამოთვლა რომ ვთხოვეთ, მეშვიდე შვილის სახელის გახსენებაზე შეყოყმანდა (თუ განგებ დაივიწყა!) სიცილი აიტეხა და ჩვენც გაგვაცინა.

— აბა, სად ჩამოგითვალოთ შვილოსა, ჭიანჭველებივით მახვევიან თავს... მოკლედ გეტყვით: სიყრმის შვილს გიორგი მქვია, ოცდაშვიდი წლის ვაჟკაცია, მარიუპოლში გაგზავნეს, ასწავლეს და ახლა ფოლადს ადნობს რუსთავში, მეათეს, ნაბოლარა გოგოს, მაყვალა დავარქვით, წლინახევრისაა!..

ამ ათი შვილის დედამ, სოფიო კაციაშვილმა სამი-ოთხი თვის წინ მიიღო გმირი დედის ორდენი. იგი ჯანმრთელი, ხალისიანი ქალია.

დიდი ოჯახის შენახვაში ბაგრატს თავისი პატარა გოგო-ბიჭებიც ეხმარებიან. პატარა იოსები, ვარდიკო და რუსუდანი საზაფხულო არდადეგების დროს მხარში ამოუდგნენ მოხუც მამას და მოსავლის აღებაზე ორასამდე შრომადღე გამოიმუშავეს.

— ეს ქვიანი ნიადაგი რაღა შენთვის მოუციათ სამუშაოდ? — ეკითხება ბაგრატს კოლმეურნეობის თავმჯდომარე და თხრილის სისწორეს ფიცრის შაბლონით ამოწმებს.

— რა ვქნა, ძენმა მარგუნა. ესე არ იყოს, ქალებს და ყმაწვილებს ხომ არ დავაყენებდი ამ ლორღიანში, მე უფრო მეტი შემიძლია, ბებერ ხარს მაგარი ქედი აქვს! — ღიმილით უპასუხებს ბაგრატი და წამდაუწუმ იქნევს მზეზე ელვებულ წერაქვს.

ცოტა მოშორებით გამალებით მუშაობს ვანო ნაცვლიშვილის ჯგუფი. იგი დღეს პირველად მოვიდა არხზე სამუშაოდ. აქამდე თვალადის კალოებზე უზარმაზარ ურმეულებად ზვინავდა ნამჯასა და ბზეს, ჩქარობდა, რომ ამ საქვეყნო საქმისათვის მასაც გამოეღო ხელი. ვანო ნაცვლიშვილის ბრიგადაშივე მუშაობს ვერა ნაცვლიშვილი. სამამულო ომის დაწყების პირველ თვეებიდანვე დაკარგა ქმრის ასავალ-დასავალი ახალგაზრდა ქალმა, მაგრამ გული არ გაიტეხა, კოლმეურნეობაში ყოველდღიური შრომით უზრდის გამარჯვებულ სამშობლოს სამ შვილს.

სადილის წინ ვანო ხოკერაშვილმა არხზე მომუშავე კოლმეურნეთა საერთო საველე კრება მოიწვია.

ამაღლებულ ბორცვზე, სადაც ურმებზე დადგმული დიდი კასრებით სასმელი წყალი ამოუტანიათ, კრების დაწყების მოლოდინში ორასამდე კოლმეურნემ მოიყარა თავი. ზოგი ხელპირს იბანს, ზოგი ჯამს ავსებს, ვიღაც წყლის მომტანს უჩივის.

— დალიე,—უეუბნება ჭაღარა კოლმეურნე ჭაბუკს—დალიე და მომაწოდე, ისე იბანები, თითქოს კამეჩის ნაფეხურში არ დაგელიოს!

როგორც ირკვევა, კასრი ღვინიანი ყოფილა. ამის გამო წყალს ვარდისფერი დაჰკრავს და ოდნავ მომჟავო გემოც გამოჰყოლია; მაგრამ უნდა ითქვას, რომ საერთოდ კვების საქმე კავთისხევის კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს კარგად მოუგვარებიათ: აქვე ახლოს ცეცხლზე შემოდგმულ სპილენძის ქვაბში ამ დილით მოყვანილი ცხვრის ხორცი იხარშება. კომკავშირის კომიტეტის მდივანი არჩილ ზაქარიაშვილი თვალადურ თონეში გამომცხვარ, წლევანდელი მოსავლის დოლის პურს ანაწილებს,

(დასასრული მე-4 გვერდზე)

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაქვეყნა ცნობა, რომ კორეის სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ სახალხო მოხალისეთა რაზმებთან მჭიდრო თანამოქმედებით ყველა ფრონტზე წარმატებით იგერიებენ ამერიკელ-ინგლისელი ინტერვენტებისა და ლისინმანელთა ჯარების გააფთრებულ იერიშებს და დიდ ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

ცენტრალურ ფრონტზე სახალხო არმიის შენაერთებმა ხვაჩხონის ჩრდილოეთით წარმატებით მოიგერიეს გააფთრებული იერიშები ამერიკის 24-ე დივიზიის და ლისინმანელთა მე-2 და მე-6 დივიზიების ნაწილებისა, რომლებიც ცდილობდნენ გაერღვიათ სახალხო არმიის თავდაცვის ხაზი 100-ზე მეტი ტანკის, ბევრი თვითმფრინავისა და არტილერიის დახმარებით.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელ-მსროლელთა რაზმებმა ჩამოაგდეს მტრის 12 თვითმფრინავი, რომლებიც კვლავ მხეცურად ბომბავდნენ და ტყვიამფრქვევს უშენდნენ ფხენიანის, ნამფხოს, სუნანის, სარივონის, ხვანჯუს, ვონსანისა და სხვა ქალაქების მშვიდობიან მოსახლეობას.

კორეაში დროებითი ზავის შესახებ მოლაპარაკების გამო

პეკინი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება:

16 ოქტომბერს 10 საათსა და 00 წუთზე ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განეხილათ საკითხები, რომლებიც ორივე მხარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების განახლებას შეეხება. 10 ოქტომბერს მეკავშირე ოფიცრების თათბირის დაწყებისთანავე მოპირდაპირე მხარემ მოითხოვა, რათა კორეის დელეგაციამ უზრუნველყოს, რომ მუნსან-პანმინჯონის გზაზე, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციის რეზიდენციის რაიონზე 3.000 იარდი რადიუსით არ მოხდება თავდასხმა. თავის მხრივ კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაცია უზრუნველყოფს მუნსან-კესონის გზისა და 3.000 იარდი რადიუსით კესონის რაიონის უსაფრთხოებას.

მაგრამ, რამდენადაც შეთანხმება კესონის ნეიტრალური ზონის შესახებ ჯერ კიდევ მოქმედებს, არავითარი საჭიროება არ მოითხოვს კვლავ გარანტირებულ იქნას ნეიტრალური სტატუსი კესონ-პანმინჯონის გზისა და კესონის რაიონისა 5 მილი რადიუსით. ამის საფუძველზე ჩვენმა მეკავშირე ოფიცრებმა 12 ოქტომბერს წინადადება შეიტანეს, რათა, სანამ დაიდებოდეს შეთანხმება ნეიტრალური ზონის გაფართოების შესახებ, რომელშიც მოექცევა კესონი, პანმინჯონი და მუნსანი, ორივე მხარემ თავი შეიკავოს მტრული მოქმედებისაგან მუნსან-პანმინჯონის კორიდორის გაყოლებით და მუნსანის რაიონში, რაც უზრუნველყოფს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციის უშიშრად ჩასვლას პანმინჯონში მოლაპარაკებისათვის. მაგრამ მოპირდაპირე მხარის მეკავშირე ოფიცრები არ დაეთანხმნენ ამას და ამტკიცებდნენ, რომ ეს წინადადება თითქოს არ შეესაბამება ორივე მხარის თანასწორუფლებიანობის პრინციპს.

რათა თავიდან აეცილებინათ მოპირდაპირე მხარის მიერ დელეგაციებს შორის მოლაპარაკების განახლების გაჭიანურების ყველა შესაძლო საბაბი, ჩვენმა მეკავშირე ოფიცრებმა 16 ოქტომბრის დილის თათბირზე, სანამ 11 საათსა და 26 წუთზე შესვენება მოეწყობოდა, ოფიციალურად განაცხადეს: კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაცია თანახმაა, რომ ორივე მხარის შეიარაღებული ძალები არ დაესხან თავს პუნსანის რაიონს ხუთი მილი რადიუსით, სადაც არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეიარაღებული ძალების დელეგაციის რეზიდენცია, და ერთნახევარ მილ რაიონს მუნსან-პანმინჯონის გზის ორივე მხარეზე. ჩვენმა მეკავშირე ოფიცრებმა აღნიშნეს, რომ შეთანხმება კესონის ნეიტრალური ზონის შესახებ არ შეიძლება მეკავშირე ოფიცრებმა გადასინჯონ დელეგაციებს შორის მოლაპარაკების განახლებამდე. მიუხედავად ამისა, მოპირდაპირე მხარის მეკავშირე ოფიცრები თათბირზე, რომელიც განახლდა 14 საათსა და 00 წუთზე, კვლავ მოითხოვდნენ იმ წინადადების მიღებას, რომელიც მათ 10 ოქტომბერს შემოიტანეს, და ცდილობდნენ შეეცვალათ კესონის ნეიტრალური ზონის შესახებ არსებული შეთანხმება. ამიტომ 16 ოქტომბრის თათბირზე მეკავშირე ოფიცრებს კიდევ არ დაუწყიათ ორივე მხარის დელეგაციებს შორის მოლაპარაკების განახლების კონკრეტული თარიღისა და საათის საკითხის განხილვა, და, ამრიგად, დელეგაციებს შესაძლებლობა არ მიეცათ დაუყოვნებლივ განეახლებინათ მოლაპარაკება.

მეკავშირე ოფიცრების 16 ოქტომბრის თათბირი დამთავრდა 15 საათსა და 50 წუთზე. ორივე მხარის მეკავშირე ოფიცრები შეთანხმდნენ, რომ კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს 17 ოქტომბერს 10 საათსა და 00 წუთზე.

სინხუას სააგენტო კორეაში ამერიკის სატელიტების ჯარისკაცთა შორის ომის საწინააღმდეგო განწყობილების შესახებ

პეკინი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს, რომ კორეაში ამერიკის სატელიტების ჯარისკაცთა შორის ძლიერდება ომის საწინააღმდეგო განწყობილება.

სიდნეის გაზეთმა „ტრიბუნმა" გამოაქვეყნა ცნობა, რომ ავსტრალიის გემ „სიდნეიდან", როცა ეს გემი ამას წინათ კორეაში იყო, გაიქცა 1 ოფიცერი და 50-ზე მეტი მატროსი. როგორც კვინსლენდის გაზეთი „გარდიენი" აღნიშნავდა, ავსტრალიის სამხედრო-საჰაერო ძალების ერთმა მფრინავმა საჯაროდ განაცხადა: „მე მოტყუებით გამგზავნეს კორეაში. ჩვენ საკუთარ მეგობრებს ვხოცავთ". ახალგაზრდობის საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინფორმაციის განყოფილების ცნობით, ახალგაზრდა ბელგიელმა ჯარისკაცმა თავის მეგობარს ბელგიაში მისწერა წერილი, სადაც აღნიშნული იყო კორეაში მყოფ ბელგიელ ჯარისკაცთა დაბალი საბრძოლო სულისკვეთება. „ძალიან ბევრი ჯარისკაცი, — აღნიშნავდა იგი, — დეზერტირობს და უარს ამბობს დაემორჩილოს სარდლობის ბრძანებებს, რათა იგი სამხედრო ტრიბუნალმა გაასამართლოს და უკანვე გაგზავნოს ბელგიაში".

ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა" 19 სექტემბერს გამოაქვეყნა კორეაში მყოფი ერთი ფრანგი უნტერ-ოფიცრის წერილი, სადაც, კერძოდ, ნათქვამია: „ფიზიკურად შეუძლებელია აქ კიდევ ერთი ზამთრის გატარება. უკანასკნელი 9 თვის ნერვული დაძაბულობის შემდეგ ეს თითქმის შეუძლებელი იქნება: ჯარისკაცებს მხოლოდ ხელუხლებელი მარაგი ეძლევათ და ისინი დაავადებული არიან სურავანდითა და დიზენტერიით".

ერთი ანდაზის სიკვდილი

(დასასრული)

გოდრებით და კალათებით მოუტანიათ ცხვრის ყველი და პამიდორი.

არც სამედიცინო და სანიტარული მომსახურების საქმეა ურიგოდ დაყენებული. ჩვენი მისვლისას სოფელ ალაიანის საექიმო უბნის ბრიგადა ექიმ ნინო თუხარელის მეთაურობით სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხებზე ესაუბრებოდა არხზე მომუშავე კავთისხეველებს.

როგორც შემდეგ გამოირკვა, გარდა თავისი პირდაპირი მოვალეობისა, ეს ბრიგადა სააგიტაციო საქმიანობასაც ეწევა: კოლმეურნეებს ესაუბრება კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, საერთაშორისო საკითხებზე და უკითხავს გაზეთ „კომუნისტის" ახალ ნომრებს.

კოლმეურნენი ნახევარწრის მსგავსად დალაგდნენ — ცალ მხარეს ქალები ჩამოსხდნენ, ცალ მხარეს კაცები. ამ ნახევარწრის თავში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვანო ხოკერაშვილი გაჩერდა.

კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შემდეგ ხოკერაშვილმა ილაპარაკა თეზი-ოკამის არხის მშენებლობის საკითხებზე და კავთისხევის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ამოცანებზე. მან დაგმო იმ კოლმეურნეთა საქციელი, რომელთაც თავი აარიდეს არხზე მუშაობას და კოლმეურნეთა საერთო კრებას მათთვის გაკიცხვისა და გაფრთხილების გამოტანის ნება სთხოვა. კრებამ დააკმაყოფილა თავმჯდომარის თხოვნა. კრებამ ასეთივე ერთსულოვნებით დაადასტურა მისი მეორე წინადადებაც არხზე მომუშავე მოწინავე კოლმეურნე ქალების შრომადღეებით დაჯილდოებისა და მათთვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

კრებამ საქმიანად ჩაიარა. კამათში გამოსულმა ამხანაგებმა ე. კვესიაშვილმა, რ. ქსოვრელმა, ა. ხოკერაშვილმა, დ. მექანარიშვილმა, ქ. ოთიაშვილმა, გ. ხარატიშვილმა და სხვებმა ერთხელ კიდევ გაახსენეს მეზობლებს, თუ რა დიდ სახალხო საქმეს უყრიან საფუძველს თეზი-ოკამის არხზე მუშაობით.

კრება დაიშალა. კოლმეურნენი ჯგუფ-ჯგუფად დანაწილდნენ, არხთან გაშლილ სუფრებს მოუსხდნენ და სადილობას შეუდგნენ.

* * *

—აქეთ, აქეთ! დაგვეწვიეთ!

გვეპატიჟებოდა კოლმეურნეთა ხან ერთი ჯგუფი, ხან მეორე, მაგრამ რაიონში საშური საქმე გვქონდა.

მანქანა აშურიანის ველზე მიჰქროდა.

— ამბობენ, ჩვენი მხარე უწინ საქართველოს პურის ბეღლად ითვლებოდაო!... — მეკითხება ვანო ხოკერაშვილი, თვალები უბრწყინდება და ხალისიანად უმატებს:

— ყოფილა და მალე იქნება კიდეც!

ამ სიტყვებზე მახსენდება საქართველოს ის რაიონები, სადაც მადლიანმა წყალმა გვალვა და მოუსავლობა დაამარცხა და მანამდე უნაყოფო ველები წალკოტად აქცია. მახსენდება აყვავებული ტირიფონის ოდესღაც უკაცრიელი ველი, დიდი მოსავლით გახარებული შავშველი, ნადარბაზეველი, ავაზნელი და ხურვალელი კოლმეურნეების სახეები...

მახსენდება სამგორი — ჩვენთვის უკვე ხელშესახები ოცნება და ვხედავ, როგორ იძირება ქართველი ხალხის საუკუნოვან ხსოვნაში, როგორ კვდება კიდევ ერთი ძველი ანდაზა:

„ნიაღვარი ბარს რომ გართმევდეს, წყალი ნათესში შეუგდეო".

ასე კვდებიან ჩვენ თვალწინ ძველი ანდაზები, ძველი რწმენანი.

ეგვიპტის მოსახლეობისა და ინგლისის ჯარების შეტაკება სუეცის არხის ზონაში

კაირო, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ისმაილიაში (სუეცის არხის ზონა) გუშინ შეტაკება მოხდა ადგილობრივ მოსახლეობასა და ინგლისის ჯარებს შორის. გაზეთი „ალ-ბალაგი" იუწყება, რომ ამ შეტაკების დროს მოკლულ იქნა 10 ეგვიპტელი და დაიჭრა 80.

გაზეთი შემდეგ წერს, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი ჰაიდარ-ფაშა და ეგვიპტის შინაგან საქმეთა მინისტრი სირაგ-ედ-დინ-ფაშა. თათბირზე გადაწყდა, რომ ისმაილიაში გაიგზავნოს ეგვიპტელ ჯარისკაცთა ერთი პოლკი.

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ისმაილიაში, სადაც გუშინ ინგლისის ჯარებს შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, დღეს სრული სიწყნარეა.

ინგლის - ეგვიპტის ურთიერთობის გამო

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან იუწყება, რომ, როგორც დღეს ეგვიპტის მთავრობის ერთმა ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, ეგვიპტის მთავრობამ გადაწყვიტა უარი თქვას ინგლისელ ინჟინერ-კონსულტანტების სამსახურზე, რომლებიც ასუანის ახალი კაშხლის (მდინარე ნილოსზე. — რედ.) და ჰიდროელექტროსადგურების პროექტზე მუშაობენ.

ინგლის - ეგვიპტის ხელშეკრულების დენონსაციის შემდეგ

ინგლისის იმპერიალიზმი ემუქრება ეგვიპტეს

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო კაიროდან გადასცემს ინგლისის სარდლობის კომუნიკეს იმის შესახებ, რომ სუეცის არხის ზონაში [illegible] კვიპროსიდან ჩავიდა ინგლისის მე-16 ცალკე საპარაშუტო ბრიგადა.

რეიტერის სააგენტო ეგვიპტის მთავრობის გადაწყვეტილების შესახებ

ლონდონი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ამტკიცებს, ეგვიპტის შინაგან საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაცხადა, რომ მთელ ეგვიპტეში შემოღებულია საგანგებო წესები.

იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

შანხაი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). აქ მიღებულია ცნობა, რომ 20 და 21 აგვისტოს მიმდინარეობდა იაპონიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-20 პლენუმი.

პლენუმზე განხილულ და მიღებულ იქნა იაპონიის კომპარტიის ახალი პროგრამის პროექტი, აგრეთვე რეზოლუცია კომპარტიის ერთიანობის შესახებ და იაპონიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადება სან-ფრანცისკოს კონფერენციის გამო.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება გამოაქვეყნოს კომპარტიის ახალი პროგრამის განმარტება სათაურით „ეროვნული განთავისუფლების დემოკრატიული ერთიანი ფრონტის განვითარებისა და პარტიის ერთიანობისათვის".

იაპონიის მთავრობის სამხედრო მზადება ხოკაიდოს კუნძულზე

შანხაი, 15 ოქტომბერი. (საკდესი). ამ ბოლო დროს ბევრი ცნობა მოდის ხოკაიდოზე სამხედრო მზადების გაძლიერების შესახებ.

კუნძულზე „პოლიციელთა" ნაწილების სახით მიდიან იაპონიის ჯარის ქვედანაყოფები. საპოროს ოლქისა და ხოკაიდოს სახელმწიფო პოლიციის სამმართველოს უფროსმა ამას წინათ განაცხადა, რომ კუნძულზე მალე ჩავლენ „პოლიციელთა" ახალი ნაწილები.

ეგრეთწოდებული პოლიციის სარეზერვო კორპუსის ნაწილები, რომლებიც განლაგებული არიან ხოკაიდოზე, გაძლიერებულ სამხედრო მზადებას გადიან და უახლეს საჭურველს იღებენ. როგორც სარეზერვო კორპუსის შტაბის უფროსმა მასუხარამ განაცხადა, კორპუსის ნაწილები შეიარაღებული არიან არა მარტო კარაბინებით, ტყვიამფრქვევებითა და ნაღმსატყორცნებით, არამედ აგრეთვე რაკეტიანი ქვემეხებით; კუნძულის მთელ რიგ რაიონებში [illegible]

უშიშროების საბჭოში

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ უშიშროების საბჭოს სხდომაზე ინგლისის დელეგატის ჯების გამოსვლის შემდეგ გამოვიდა ინდოეთის წარმომადგენელი რაუ.

ინდოეთისა და იუგოსლავიის სახელით რაუმ შეიტანა ერთობლივი შესწორებანი რეზოლუციის გადასინჯული ინგლისური პროექტისათვის. ეს შესწორებანი ფაქტიურად არ ცვლიან ინგლისის რეზოლუციას, რომელიც ირანის ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის საკითხს განიხილავს როგორც „საერთაშორისო" საკითხს, მაშინ როცა ნაციონალიზაცია ირანის საშინაო საქმეა.

იუგოსლავიის დელეგატის შემდეგ გამოვიდა მოსადიკი, რომელმაც აღნიშნა, რომ წინააღმდეგია ინგლისის რეზოლუციის შესწორებული ვარიანტისა. მოსადიკმა განაცხადა, რომ უშიშროების საბჭოს არა აქვს უფლება განიხილოს ეს საკითხი და რომ ირანი წინააღმდეგია რეზოლუციის ყოველგვარი პროექტისა, რა შესწორებაც უნდა იქნას მასში შეტანილი.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ცარაპკინმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაციამ პროტესტი განაცხადა უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში ირანის მიმართ ინგლისის საჩივრის შეტანის წინააღმდეგ.

წინათ გაკეთებულ განცხადებაში საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ინგლისის საჩივრის განხილვა იქნებოდა ირანის საშინაო საქმეებში ჩარევა და ირანელი ხალხის სუვერენულ უფლებათა დარღვევა. მაგრამ უშიშროების საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ხმა მისცა იმას, რომ დაწყებულიყო ამ საკითხის განხილვა, და ინგლისმა წარმოადგინა ჯერ რეზოლუციის პროექტი, ხოლო შემდეგ გადასინჯული პროექტი, ერთიც და მეორეც იმისკენ მიმართული, რომ უშიშროების საბჭოს დაეწყო მოქმედება, რომელიც წარმოადგენს ირანის საშინაო საქმეებში ჩარევას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-7 პარაგრაფში ჩამოყალიბებული პრინციპების დარღვევას.

ცარაპკინმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ირანის საშინაო საქმეებში ასეთი ჩარევა არ უნდა იქნას დაშვებული. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია პროტესტს აცხადებს ინგლისის რეზოლუციის როგორც პირვანდელი, ისე გადასინჯული პროექტის წინააღმდეგ. შემდეგ, ინდოეთისა და იუგოსლავიის დელეგაციების მიერ წარმოდგენილი შესწორებანი არ ცვლიან მდგომარეობას. მიუხედავად ყოველგვარი შენიღბვისა, რეზოლუციები და შესწორებანი წარმოადგენენ ცდას—ირანის საშინაო საკითხი გადააქციონ საერთაშორისო განხილვის საგნად. ეს არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევა. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია გადაჭრით წინააღმდეგია რეზოლუციისა და მისი შესწორებებისა.

კვლავ გამოვიდა ინგლისის წარმომადგენელი ჯები, რომელმაც განაცხადა, რომ როგორც ამ დავაში ერთი მხარე, ინგლისი თავს შეიკავებს ინგლისის რეზოლუციისათვის კენჭისყრაში.

დასასრულ, შეეხო რა ინგლისის რეზოლუციის პროექტის შესწორებებს, ჯებმა განაცხადა, რომ ზოგიერთი შესწორება შეიძლება მისაღები აღმოჩნდეს, მაგრამ იგი ამჯობინებს შესწორებათა შესახებ საბოლოო განცხადება გააკეთოს საბჭოს შემდეგ სხდომაზე.

უშიშროების საბჭოს შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს.

ნიუ-იორკი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). 17 ოქტომბერს დილით უშიშროების საბჭომ განაახლა ეგრეთწოდებული ირანის საკითხის განხილვა. ინგლისის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ, რომელიც დაეთანხმა ინდოეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენლების მიერ შეტანილ შესწორებათა მიღებას, სიტყვა აიღო ეკვადორის წარმომადგენელმა კევედომ. კევედომ აღნიშნა, რომ განსახილველი საკითხი ირანის საშინაო იურისდიქციის სფეროს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, იგი ამტკიცებდა, რომ უშიშროების საბჭომ ამჟამად არ უნდა გააკეთოს განცხადება იმაზე, კომპეტენტურია თუ არა იგი განიხილოს ეს საკითხი. კევედომ განაცხადა, რომ ეკვადორი ვერ დაუჭერს მხარს ინგლისის რეზოლუციის პროექტს, რომელშიც შეტანილია ინდოეთისა და იუგოსლავიის წარმომადგენელთა შესწორებანი.

დასასრულ ეკვადორის წარმომადგენელმა შეიტანა რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია, რომ უშიშროების საბჭო, თავისი საკუთარი კომპეტენციის საკითხის გადაუჭრელად, ურჩევს მხარეებს განაახლონ მოლაპარაკება.

ეკვადორის წარმომადგენლის სიტყვის თარგმნის შემდეგ უშიშროების საბჭომ შეწყვიტა თავისი სხდომა დღის მეორე ნახევრამდე.

ადენაუერის განცხადების გამო

ბერლინი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ალგემაინე დოიჩე ნახრიხტენის სააგენტო ბონიდან იუწყება, დღეს ბონის კანცლერმა ადენაუერმა გააკეთა მთავრობის განცხადება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის 10 ოქტომბრის წინადადების გამო. ადენაუერმა, ნათქვამია ცნობაში, არ გასცა პასუხი კითხვებს, რომლებიც სახალხო პალატამ მისცა ფედერალურ პარლამენტს.

თანახმაა თუ არა ფედერალური პარლამენტი, რომ უახლოეს დროში მოეწყოს სრულიად გერმანიის თათბირი დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით გერმანელი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთა განსახილველად?

თანახმაა თუ არა ფედერალური პარლამენტი, რომ სრულიად გერმანიის თათბირზე განხილულ იქნას ორი საკითხი, სახელდობრ, სრულიად გერმანიის თავისუფალი არჩევნების მოწყობა ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნის მიზნით და გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების დაჩქარების საკითხი?

ადენაუერი კვლავ გამოვიდა სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის წინააღმდეგ. თუმცა ბონის მთავრობის წევრმა ოფიციალურად აცნობა ფედერალურ პარლამენტს სხდომის წინ, რომ სახალხო პალატის მიმართვის გამო ადენაუერი პარლამენტში განცხადებას გააკეთებს 17 ოქტომბერს, ადენაუერმა გააკეთა განცხადება დღეს, რამაც გააოცა პარლამენტის წევრები.

როგორც ცნობაში აღნიშნულია, ჩაიფუშა ადენაუერისა და გერმანიაში ამერიკის უმაღლესი კომისრის განზრახვა გვერდი აევლოთ სახალხო პალატის მიერ მიცემული კითხვებისათვის, ისე რომ არ გაეხსნათ კამათი. გერმანიის კომუნისტური პარტიისა და გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელთა წინადადებით, რომელიც პარლამენტის დეპუტატთა დიდმა უმრავლესობამ მიიღო, გადაწყდა 17 ოქტომბრისათვის დაინიშნოს კამათი ადენაუერის განცხადების გამო.

ერთიანი და მშვიდობისმოყვარე გერმანიისათვის

დასავლეთ გერმანიის მშრომელნი მხარს უჭერენ სახალხო პალატის წინადადებებს

ბერლინი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ადენაუერის მთავრობის ანტიხალხური მოქმედების საწინააღმდეგოდ დასავლეთ გერმანიის მშრომელნი მოითხოვენ მიღებულ იქნას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის მიმართვაში ჩამოყალიბებული წინადადებანი სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ.

როგორც ალგემაინე დოიჩე ნახრიხტენის სააგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის სხვადასხვა ქალაქის მშრომელნი ბონის პარლამენტის დეპუტატებისაგან მოითხოვენ სახალხო პალატის მიმართვაზე დადებითი პასუხის გაცემას.

„ნაციზმის დროს დევნილ პირთა გაერთიანების" შტუტგარტის ორგანიზაციის წევრებმა ბონის პარლამენტის თავმჯდომარეს ელერსს მიმართეს წერილით, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ჩვენ იმის წინააღმდეგი ვართ, რომ ფედერალური რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოები ტექნიკურ სიძნელეთა მომიზეზებით აჭიანურებდნენ სახალხო პალატის მიმართვაზე პასუხის გაცემას. ახლა საქმე ეხება არა ზოგიერთი პოლიტიკოსის პრესტიჟს, არამედ გერმანელი ხალხის ბედს".

ნიურნბერგის მცხოვრებთა ჯგუფმა მიმართა ბონის პარლამენტის დეპუტატს ჰანს დირშელს და მოუწოდა მას მხარი დაუჭიროს სახალხო პალატის წინადადებებს სრულიად გერმანიის თათბირის მოწვევის შესახებ. ასეთივე მოწოდებით მიმართეს ლეტერში (ჰანოვერის მახლობლად) გამართული კრების მონაწილეებმა ბონის პარლამენტის მეორე დეპუტატს ჰანს იანს.

ხალხის გამოკითხვის მსვლელობა დასავლეთ გერმანიაში

ბერლინი, 16 ოქტომბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება, რომ 15 ოქტომბერს გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და 1951 წელს გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ ხალხის გამოკითხვისას [illegible] სექტორი) გამოკითხულთა 94,3 პროცენტმა ხმა მისცა რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და საზავო ხელშეკრულების დადების სასარგებლოდ. გამოკითხულთა 5,7 პროცენტმა კენჭისყრაში [illegible]

ილარიონ ავქსენტის-ძე გაგუა

17 ოქტომბერს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გენერალ-მაიორი ილარიონ ავქსენტის-ძე გაგუა.

უდროო სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოაცალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სამშობლოს ერთგული შვილი.

ი. ა. გაგუა დაიბადა 1900 წელს. შრომითი საქმიანობა მან დაიწყო ყმაწვილობაშივე და მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მოახმარა საბჭოთა სახელმწიფოს სამსახურს.

1921-დან 1950 წლამდე ი. ა. გაგუა უცვლელად მუშაობდა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის — სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს — სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ორგანოებში. მუშაობდა რა პასუხსაგებ თანამდებობებზე სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების სამინისტროში, მოსკოვის კრემლის კომენდანტის სამმართველოში, ხოლო შემდეგ აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო უშიშროების მინისტრად, ი. ა. გაგუა მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და სიმტკიცით ასრულებდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დავალებებს. ი. ა. გაგუა ჩეკისტის მომთხოვნელობას უნარიანად ახამებდა ამხანაგებისა და ხელქვეითებისადმი გულისხმიერ მოპყრობასთან. მთელ თავის ძალებს, მთელ თავის მდიდარ გამოცდილებას ი. ა. გაგუა ახმარდა საყვარელი სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების განმტკიცების საქმეს.

დიდი სამამულო ომის წლებში ი. ა. გაგუა თავდადებით ასრულებდა პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სპეციალურ დავალებებს კავკასიის დაცვის საქმეში.

ი. ა. გაგუა იყო საქართველოს სსრ საბჭოს მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თავი გამოიჩინა როგორც ხალხის ერთგულმა მსახურმა.

საბჭოთა მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა სამშობლოს წინაშე გენერალ-მაიორ ი. ა. გაგუას დამსახურებას. იგი დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორი ორდენით, წითელი ვარსკვლავის ორი ორდენით, კუტუზოვის II ხარისხის ორდენით, სამამულო ომის II ხარისხის ორდენით, „საპატიო ნიშნის" ორდენით და საბჭოთა კავშირის მედლებით.

მამაცი ჩეკისტის, ლენინ-სტალინის პარტიის ერთგული შვილის, საბჭოთა სამშობლოს მგზნებარე პატრიოტის ი. ა. გაგუას ნათელი სახე დიდხანს დარჩება მისი ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი

დღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში"

პირველი გვერდი — „პრავდის" 18-X მოწინავე — ხალხთა მშვიდობისა და ბედნიერებისათვის.

საერთო სათაურით „დიდი ოქტომბრის 34-ე წლისთავის შესახვედრად" წერილები: თ. ჯიბუტი, კ. მუმლაძე — არხი გადის მთის შუაგულში. წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების VII რესპუბლიკური ოლიმპიადა. საბჭოთა კავშირში.

მეორე გვერდი — პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს III პლენუმი.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი.

საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა მოიპოვა „სსრ კავშირის თასი" ფეხბურთში.

საშემოდგომო ხვნა-თესვა — პ. შეროვი — ვთესოთ სწრაფად და ხარისხიანად. ა. კუმარიტოვი — ახალ მიწებზე.

მესამე გვერდი — საერთო სათაურით „ფართოდ დავნერგოთ ნოვატორების თასნობა" წერილები: ქართველი მეტალურგების ქალაქი (საუბარი საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის მდივან ამხ. გ. ზედგინიძესთან). რ. ცაბუტაშვილი — კაზმის ჩქაროსნული ჩატვირთვა. გ. სიგუა, ვ. გოგიბერია, შ. კუბალეიშვილი — მეფოლადეების კოლექტიური სტახანოვური შრომა. გ. ლეჟავა — ახალი შენობები 7 ნოემბრისათვის. ლ. პელერმანი — მილების ნამზადი.

მეოთხე გვერდი — უცხოეთის ინფორმაციები.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

19 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, შედგება პროფესორ დ. ენუქიძის ლექცია თემაზე: „საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

საქართველოს რადიომაუწყებლობის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

[illegible]

დღეს თეატრებში

[illegible]

დღეს კინოებში

[illegible]

[illegible]

მეუღლე მედეა, შვილები ალეკო, მელიტა კობალაძეები იუწყებიან, რომ 21-X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია ექიმ ილია ალექსის-ძე კობალაძის პანაშვიდი.

მშობლები მანია, დიმიტრი, ძმა თამაზ, და ნაირა, ბიძა გიორგი ცქიტიშვილები, ბიძები ირაკლი, გოგი, დეიდა ბარბარე ჩიგოგიძეები იუწყებიან, რომ 21-X, 1 ს. ქ. ზესტაფონში დანიშნულია ინგა დიმიტრის ასულ ცქიტიშვილის პანაშვიდი.

მეუღლე შაქრო, შვილი ნანული, დედამთილი ნინო, მამამთილი ათანასე ქუმსიაშვილები იუწყებიან ანასტასია ივანეს ასულ შაიშმელაშვილი-ქუმსიაშვილის გარდაცვალებას. პანაშვიდი 19, 20-X, 7 ს. გამოსვენება 21-X, 3 ს. ბარნოვის, 136.

შვილები შალვა, დავით, მარიამ, ანა, ნატაშა რამაზაშვილები, შვილიშვილები ქეთევან, მიხეილ, ჯემალ, თამარ, ფარნაზ, სიძე გ. ბედოშვილი იუწყებიან თებრონე გრიგოლის ასულ რამაზაშვილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 20-X, ს. ფშაველში (თელავის რ.).

შვილები სიმონ, სოფიო, იოსებ, ქეთევან, რძლები ნინო, მარიამ, სუსანა ტაბიძეები, სიძეები აბელ კიკვიძე, გოგი ლორთქიფანიძე იუწყებიან ელისაბედ ოქროპირის ასულ ტაბიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-X ს. პატარძეულში (ვანის რ.).

დედა კატო, დები ნადია, სანდალა საბაშვილები იუწყებიან, რომ 21-X, 3 ს. [illegible]

[illegible]

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — [illegible]
ცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო-სატრანსპორტო [illegible]
ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.